619
1952/9

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 9 სექტემბერი 1952



ფოტო კ. კრიმიკისა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში —
პირველი ლექციის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (14) სექტემბერი 1952

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ამხ. ა. ი. მგელაძე

5723

## საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობა

1952 წლის 15-დან 18 სექტემბრამდე თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობა. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის XV ყრილობაზე მოვიდა მჭიდროდ დარაზმული საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

საქართველოს კომპარტიის XV ყრილობა შეიკრიბა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელსაც მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად განიცდის ქართველი ხალხი, ემზადება რა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის.

ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ა. ი. მგელაძის საანგარიშო მოხსენება.

ამხანაგ ა. ი. მგელაძის მოხსენებაში მოცემულია ღრმა ანალიზი საქართველოს ბოლშევიკების მუშაობისა სახალხო მეურნეობის და კულტურის ყველა დარგში, პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში, დასახულია მთელი ჩვენი საქმიანობის შემდგომი აღმავლობის დიდი პროგრამა.

ყრილობის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

### საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1952 წლის 18 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. ი. **მგელაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **ვ. გ. ცხოვრებაშვილი,** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად — ამხ. **ვ. დ. ბუჯიაშვილი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები **ა. ი. მგელაძე, ზ. ნ. კეცხოველი, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. მ. ბაქრაძე, ვ. დ. ბუჯიაშვილი, ა. ი. კოჭლავაშვილი, კ. დ. ბუჯიაშვილი, მ. კ. ბალავაძე, შ. დ. გეთია, ი. დ. კოჭლამაზაშვილი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **ვ. კ. ბალავაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ს. კანდელაკი.**

რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებად პლენუმმა დაამტკიცა: „კომუნისტისა“ — ამხ. **გ. ი. მერკვილაძე,** „ზარია ვოსტოკასი“ — ამხ. **ნ. ვ. პავჩინსკი,** და „სოვეტაკან ვრასტანისა“ — ამხ. **ზ. ნ. პოღოსიანი.**

გაიმართა საქართველოს კ. პ. (ბ) სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელზედაც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. **ა. დ. გიორგაძე.**

საჯარო ბიბლიოთეკა

## სტახანოვურ ვახტზე

### გორის ბამბეულის კომბინატში



სართავი საამქროს მოწინავე სტახანოველმა ნათელა მიქელაძემ საკ. კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად ვალდებულება აიღო უფრო მეტი ნართი მისცეს სამშობლოს და გეგმა 150%-ით შეასრულოს.



მოსამზადებელ საამქროში მუშაობს კომკავშირელი თინა ოქროპირიძე. მას შემდეგ, რაც იგი საკ. კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება, გეგმას 165%-ით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

# ჩაის ფაბრიკის ოსტატები

ანა აგლაძე

მანქანა მიჰქრის შავი ზღვის ნაპირზე. წინადღის ნაწვიმარია. ავდრის შემდეგ დღე განსაკუთრებით მზიანი და ნათელი გვეჩვენება. გზა სულ უფრო და უფრო იკლაკნება და ჩქარა ზღვას უკან ვიტოვებთ.

გზის ორივე მხარეს გადაჭიმულია ჩაის პლანტაციები. ჩაის მწვანე ბუჩქები მთელ მინდორზე ჩამწკრივებულან და გორაკებიდან დაბლობისაკენ ფართო კიბეების საფეხურებივით ეშვებიან.

მწვანე ფონზე მოსჩანს ჩაის მკრეფავთა ფერადი კაბები და ჭილის ფართო ქუდები — ეს ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაა, რომლის 548 ჰექტარი ჩაის პლანტაციებს უჭირავს.

ჩაის მინდვრებიდან მოისმის სიმღერა.

— ეს ფაცია დოლიძის ბრიგადაა, — ღიმილით მეუბნება თანამგზავრი და ხელს იშვერს ჩაის მკრეფავი მომღერალი ქალებისაკენ.

ფაცია დოლიძე ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ცნობილი სტახანოველია. იგი დღეში ხშირად 200 კილოგრამ ჩაის კრეფს, დაწესებული 20 კილოგრამის ნაცვლად. შრომითი დამსახურებისათვის ეს წარჩინებული ქალი დაჯილდოებულია ერთი ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორი ორდენით.

სულ რამდენიმე წუთი და ჩვენ ჩაის ბუჩქებთან ვდგევართ.

თვითონ ფაცია ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალია. იგი გვპასუხობს ჩვენს შეკითხვებზე და თან მუშაობს—ერთი წუთითაც არ აჩერებს ხელს. გასაოცარი სისწრაფით ამოძრავებს თითებს, თვალის დახამხამებაში სწყვეტს ჩაის ფოთლებს და ჰყრის კალათში. 26 წელია, რაც იგი სიყვარულით უვლის თავის მიერვე გაზრდილ ჩაის ბუჩქებს. არც ისე ადვილია ჩაის ფოთლებში შეამჩნიო ფლეში—ჩაის ნაზი ფოთლები, რომლებიდანაც მზადდება მაღალი ხარისხის ჩაი, მაგრამ ფაციას არ უჭირს მისი მონახვა და თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ვინ მოთვლის ამ ძვირფასი ნედლეულის რამდენი ასეული კილოგრამი ჩაუბარებია გეგმაზე გადაჭარბებით საყვარელი სამშობლოსათვის! ვინ მოთვლის ჩაის რამდენი სახელოვანი მკრეფავი აღუზრდია მას!

მაგრამ დღითი დღე იზრდება მოთხოვნილება ჩაის მწვანე ფოთოლზე. საბჭოთა კავშირში ჩაის ფაბრიკების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. საქართველოში 56 ჩაის ფაბრიკაა. ამათგან მარტო ოთხი ჩაქვშია. მათ შორის სიდიდითა და საწარმოო სიმძლავრით გამოირჩევა ჩაქვის № 1 ფაბრიკა და მეოთხე ფაბრიკა, რომელიც გასულ წელს ამუშავდა.

№ 1 ფაბრიკას ძირითადად ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა ამარაგებს. ფაციას ბრიგადაც ამ ფაბრიკისათვის ჰკრეფს ჩაის.

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა... საღამოვდება... მივდივართ ფიჭვების, კიპარისების და პალმების მწკრივებს შორის. გავდივართ ხიდზე და ჩაქვის № 1 ფაბრიკის ტერიტორიაზე შევდივართ.

ფაბრიკაში მეორე ცვლა მუშაობს. ფაბრიკის ფართო, ნათელ შენობაში ყველაფერი შრომის მაღალ კულტურაზე ლაპარაკობს. საამქროებში სანიმუშო სისუფთავეა. სუფთა ხალათებში, სიცოცხლით სავსე მუშა ქალები ემსახურებიან ჩაის აგრეგატებს, სადაც მწვანე ფოთლისაგან მზა პროდუქცია მუშავდება. ლაბორანტები ხშირად ამოწმებენ კამერების ტემპერატურას, უთვალთვალებენ, რომ არ დაიწვას ფლეში — ჩაის ბუჩქის ეს ყველაზე ძვირფასი პროდუქტი.

გამშრობ საამქროში ელენე სურგულაძის ბრიგადა მუშაობს. მომცრო ტანის, მკვირცხლი ქალი, ელენე სურგულაძე — ფაბრიკის სახელგანთქმული სტახანოველი—თავის წლოვანებასთან შედარებით მსუბუქი ნაბიჯით დადის აგრეგატებს შორის, თვალყურს ადევნებს ჩაის შრობას, მკაცრად იცავს ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიურ რეჟიმს.

დამხარისხებელ საამქროში ჩაით სავსე ტომრების წინ ზის თეთრხალათიანი ჩაის წარმოების უძველესი მუშა, უმცროსი ტექნოლოგი მელიტონ ჭანუყვაძე. ახლა იგი უხსნის მის გვერდით მდგომ პრაქტიკანტ სტუდენტებს, როგორ უნდა შეირჩეს ჩაი კუპაჟირებისათვის. ეს ხომ უკანასკნელი და მეტად რთული პროცესია?! ის მოითხოვს დიდ გამოცდილებას და საქმის ცოდნას. ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო მელიტონი, როცა ჩაის წარმოებაში დაიწყო მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში მან არა ერთი კარგი სპეციალისტი აღზარდა. ეს სპეციალისტები საწარმოო პრაქტიკას მისი უშუალო ხელმძღვანელობით გადიოდნენ.

აი, ივანე ცინცაძეც, მელიტონის მოწაფე. იგი ახლა დამხარისხებელი საამქროს უფროსია.

— ივანემ ფაბრიკაში უბრალო მუშად დაიწყო მუშაობა, ახლა კი საუკეთესო სპეციალისტია, — სიამაყით ამბობს მელიტონი თავის ყოფილ მოწაფეზე.

ფაბრიკა აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, დაკომპლექტებულია კარგი სპეციალისტებით. ყოველწლიურად მატულობს მაღალი ხარისხის ჩაის გამოშვება.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით № 1 ფაბრიკამ ვალდებულება აიღო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულოს 1 ოქტომბრისათვის 20 ტონის გადაჭარბებით, თვითღირებულება შეამციროს 3%-ით, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 3%-ით და სხვ.

ფაბრიკის მუშებმა ქ. კუჭუხიძემ, ეკ. თავაძემ, ს. კრივჩენკომ, მ. ზაიჩენკომ და ელ. შამილინამ ვალდებულება აიღეს წლიური გეგმა შეასრულონ 150-160%-ით.

ფაბრიკამ სოცშეჯიბრში გამოიწვია ბათუმის ჩაის ფაბრიკა.

გამოვდივართ საწარმოო საამქროებიდან. ტალანებში დგას გასაგზავნად დამზადებული ჩაით სავსე ყუთები. ყუთებზე აწერია „ოდესა“, „ირკუტსკი“, „მოსკოვი“, „ლენინგრადი“...

# რევოლუციის უშიშარი რაინდი

**(ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების 75 წლისთავის გამო)**

სამოცდათხუთმეტი წლის წინათ, 1877 წლის 11 სექტემბერს დაიბადა მგზნებარე რევოლუციონერი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლი ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკი.

ძერჟინსკის მარად დაუვიწყარი, ღრმა შინაარსით აღსავსე ცხოვრება—უკვდავი მაგალითია ჩვენთვის. მთელი ცხოვრება ამ კრისტალურად სპეტაკი ადამიანისა გვასწავლის და მოგვიწოდებს თავდადებით და ერთგულად ვემსახურებოდეთ საბჭოთა სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის დიად საქმეს, კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.



ამხანაგი სტალინი წერდა ძერჟინსკის გარდაცვალების გამო:

„როცა ახლა, ახდილ კუბოსთან, იგონებ ამხ. ძერჟინსკის მიერ განვლილ მთელ გზას—საპყრობილეებს, კატორღას, გადასახლებას, კონტრრევოლუციასთან მებრძოლ საგანგებო კომისიას, დანგრეული ტრანსპორტის აღდგენას, ახალგაზრდა სოციალისტური მრეწველობის შენებას, — გინდა დაახასიათო ეს მჩქეფარე ცხოვრება ერთი სიტყვით: წ ვ ა“.

ბრძენი ბელადის ამ სიტყვებში ნათლად და ამომწურავი სიზუსტით ნაჩვენებია ძერჟინსკის ცხოვრების მთელი დედა-აზრი: რევოლუციის უშიშარი, მამაცი რაინდი—ფელიქს ძერჟინსკი—იწვოდა ხალხის, პარტიის ინტერესებისათვის; მთელი მისი დაუცხრომელი საქმიანობა, ფიქრი, აზრი, გრძნობა და სიყვარული მიმართული იყო იქითკენ, რათა განემტკიცებინა მშრომელთა ბედნიერება, დაეთრგუნა და გაეცამტვერებინა კონტრრევოლუციის ბნელი ძალები.

ჩვიდმეტი წლისა იყო ფელიქს ძერჟინსკი, როცა დაადგა რევოლუციისათვის მებრძოლის სახელოვან გზას. კომუნიზმის გამარჯვების უკვდავ იდეას თავდადებულად ემსახურებოდა ის სიჭაბუკის წლებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

სიჭაბუკის წლებში ძერჟინსკი, როცა ის ვილნიუსსა და კაუნასში მუშაობდა—რაზმავდა ამ ქალაქების მუშებს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საიერიშოდ, მისი ხელმძღვანელობით იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული წრეები ვილნიუსისა და კაუნასის საწარმოებში, ეწყობოდა მუშათა გაფიცვები.

მეფის მოხელეები თავიდანვე ძლიერ შეაშფოთა ძერჟინსკის დაუცხრომელმა საქმიანობამ. მათ დაიწყეს ძერჟინსკის სასტიკი დევნა—ის არაერთგზის დააპატიმრეს და გადაასახლეს ჟანდარმებმა; თერთმეტი წლის განმავლობაში იტანჯებოდა ძერჟინსკი საპყრობილეებსა, გადასახლებასა და კატორღაში, მაგრამ ვერაფერმა ვერ გასტეხა, ვერაფერმა ვერ შეაკრთო და ვერ მოღუნა მისი რკინის ნებისყოფა, მისი დაუცხრომელი, მგზნებარე სული. როგორც კი გადაასახლებდნენ, ის უმალ ახერხებდა გამოქცევას ციმბირის შორეული ადგილებიდან, რათა ისევ მთელი არსებით მისცემოდა საყვარელ საქმეს—რევოლუციურ ბრძოლას ძველი სამყაროს დასამხობად.

1906 წელს, სტოკჰოლმის გამაერთიანებელ ყრილობაზე ძერჟინსკი პირადად გაეცნო დიდ მასწავლებლებს—ლენინსა და სტალინს. უკვე მანამდე ის შესანიშნავად იცნობდა მათ წიგნებს, მათ ნაწერებს, რომლებიც ძერჟინსკის უჩვენებდნენ ბრძოლის გზას, განუმტკიცებდნენ მომავალი გამარჯვების რწმენას.

1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე მიმდინარეობდა ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობა, რომელმაც პარტიას გეზი მისცა უშუალოდ შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ამ ყრილობაზე ძერჟინსკი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1917 წლის 16 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი, რომელსაც ეკისრებოდა ხელმძღვანელობა გაეწია შეიარაღებული აჯანყებისათვის. ძერჟინსკი ამ პარტიული ცენტრის აქტიური წევრი იყო. ამხანაგი სტალინი, რომელიც ხელმძღვანელობდა პარტიულ ცენტრს, ძერჟინსკის ჰგზავნიდა ოქტომბრის ბრძოლების ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე. და რევოლუციის უშიშარი რაინდიც პირნათლად ასრულებდა პარტიის ყველა დავალებას. სწორედ ამიტომ უწოდა ამხანაგმა სტალინმა ძერჟინსკის „ოქტომბრის გმირი“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ძერჟინსკი, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, განაგრძობს დაუცხრომელ მუშაობას რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად; ძერჟინსკი სათავეში უდგება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას (ვეჩეკა), რომელიც შექმნილი იყო ლენინის უშუალო მითითებით. საგანგებო კომისია დაუნდობლად ანადგურებდა კონტრრევოლუციის ძალებს. ძერჟინსკის მოღვაწეობის ამ პერიოდის შესახებ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „ბურჟუაზიას არავინ არ სძულდა ისე, როგორც ძერჟინსკი, რომელიც ფოლადის ხელით იგერიებდა პროლეტარული რევოლუციის მტრების დარტყმებს. „რისხვა ბურჟუაზიისათვის“ — ასე უწოდებდნენ მაშინ ამხ. ფელიქს ძერჟინსკის“.

ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ამხ. ფ. ძერჟინსკიმ ტრანსპორტის აღდგენისა და მოწყობის საქმეს, როცა პარტიამ მას ეს საპასუხისმგებლო უბანიც ჩააბარა; შემდეგ მას ვხედავთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. და ყველგან ძერჟინსკი იჩენს უჩვეულო ორგანიზატორულ უნარს, განუხრელად იბრძვის პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის.

ფ. ძერჟინსკი—რევოლუციის ფხიზელი გუშაგი, შეურიგებლად ებრძოდა პარტიისა და ხალხის მტრებს—არამზადა ტროცკისტებს, ზინოვიეველებსა და ბუხარინელებს. რამდენიმე საათით ადრე სიკვდილამდე ძერჟინსკიმ წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე, სადაც მან ამხილა ტროცკისტი მაწანწალების მავნებლური საქმიანობა.

ფ. ე. ძერჟინსკის ნათელი სახე მარად ცოცხლობს და იცოცხლებს მშრომელთა გულში; ძერჟინსკის სპეტაკი ცხოვრება შთააგონებს ჩვენი სამშობლოს ადამიანებს გმირული თავდადებისათვის კომუნიზმის გამარჯვების გზაზე.

## სტახანოვურ ვახტზე

გორის საკონსერვო ქარხნის სტახანოველ მუშებს შორის მარო ღომიძე ერთ-ერთი მოწინავეთაგანია. ამ სუსტი აგებულების ნაზ ქალიშვილს არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა და თავისი საქმისადმი დიდი სიყვარული აქვს. იგი საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დგას და 60%-ით აჭარბებს ყოველდღიურ დავალებას.

ფოტო რ. აკოფოვისა



# ქლუხორის უღელტეხილის გადაღმა

**ი. მუხაძე**

უკან დაგვრჩა საქართველოს სამხედრო გზა, ძაუჯიკაუ, მინერალური წყლები, ტრამალების თვალუწვდენელი სივრცე, შემწიფებული პურის ყანები და თვითმავალი კომბაინების განუწყვეტელი გუგუნი.

გამოჩნდა ჩერქეზთა აულების თიხით შელესილი ქოხები. ფაფანაკიანი ცხენოსნები მოაჭენებენ შარაგზაზე მორჩილი ტანის ცხენებს. მოგვყეფდნენ მეცხვარეების ბანჯგვლიანი ძაღლები.

ბატალპაშინსკის იქით, სადაც 1790 წელს რუსის ჯარმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის ოცდაათიათასიანი არმია, გზა ისევ აღმართს მიჰყვება, მქუხარე ყუბანის თავზე მიიკლაკნება. ყოფილი სიმაგრის, ხუმარას პირდაპირ მრისხანედ, მაგრამ ლამაზად ამართულა სალი კლდე—შოანი. მის მწვერვალზე XI საუკუნის უცნობ ხუროთმოძღვრებს როგორღაც მოუხერხებიათ თლილი ქვისაგან საყდრის აშენება. მას აქეთ იგი თითქმის დაუზიანებლად დგას.

გამაფრთხილებლად ეხმაურებიან ერთმანეთს ავტოების საყვირები. ძნელად შესამჩნევ მოსახვევებიდან სულ უფრო და უფრო ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე ნახშირით, ქვით და ხე-ტყით დატვირთული მანქანები. მანქანებზე საქართველოს ავტოინსპექციის ნიშნებია: „გრ, გს, გზ." აქვე, სულ ახლოს, საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე რაიონი, მთა-გორიანი ქლუხორია. კავკასიონის მთავარი ქედიდან გამოსული მყინვარები მას ცალკეულ, ძნელად მისადგომ კლდოვან ზეგნებად ანაწილებენ; მრავალრიცხოვანი ქაფმორეული მდინარეები და ღელეები გრიალით მიაქანებენ ზვირთებს. სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქლუხორს საზღვრავენ აფხაზეთი და ზემო სვანეთი, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ნაწილობრივ აღმოსავლეთიდან კი — ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი და სტავროპოლის მხარე.

ოდესღაც, ძველ დროს 2816 მეტრის სიმაღლეზე, ქლუხორის თოვლიან უღელტეხილით გადადიოდა საქარავნო გზა კოლხეთიდან და აფხაზეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, მიდიოდა დონამდე და უფრო შორს, რუსეთის სიღრმეში. ეს გზა ჯერ კიდევ 1367 წელს იყო დაწვრილებით აღნიშნული ვენეციელი ფრანცისკო პიციგანის მიერ შედგენილ რუკაზე.

აი, ახალშენიც. რვა წლის წინათ გააჩაღა აქ პირველი კერა და გაშალა პირველი სუფრა ახლად დასახლებულმა ხალხმა. თავის კოლმეურნეობას მათ ლავრენტი ბერიას სახელი უწოდეს. მდინარის მარცხენა ნაპირზე, სადაც ყუბანს თავის წყლებს უერთებს თებერდა, თეთრად მოჩანს მთის მწვანე კალთებზე მიშენებული კოხტად ნაშენი, ფანჯრებით მზისკენ მიქცეული, მრავალსართულიანი სახლები.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გადაწყდა — აღსდგეს ქალაქი უფრო უკეთესი სახით. იმ ადგილებშიც კი, სადაც ომამდე სულ არ იყო სიცოცხლე, ახლა აღმოცენდნენ საკოლმეურნეო, რამდენიმე ათეულ კომლიანი პატარა სოფლები — ბარი და შუქური თებერდას ხეობაში, მთისძირი, მარინისხევი და ზედვაკე ყუბანის სათავეებთან.

სოფელ იალბუზში, სადაც მისვლა მხოლოდ ზაფხულის თვეებშია შესაძლებელი, — ნალჩიკის მხრიდან, ახლად დასახლებულთათვის ამჟამად ასი ლამაზი ქვის საძირკვლებიანი სახლი შენდება; რა თქმა უნდა, ელექტროგანათებით, ვინაიდან მთელი რაიონი ელექტროფიცირებულია.

ყუბანისა და თებერდას სათავეებში ახალმა ადამიანებმა თან მოიტანეს ახალი წესებიც, ახლებურად დააყენეს საქმე. სამ-ოთხ წელიწადში უკვე თავი დაანებეს ხარებით ხვნას და საგორავებით პურის ლეწვას. ამ მთებზე ატანილი იქნა სპეციალური გუთნები და ტრაქტორები „სტზ-ნატი". კოლმეურნეობების ჰესების ენერგიამ აამოძრავა სალეწი მანქანები.

ყველა ამის შედეგად ქლუხორის კოლმეურნეობების სათესი ფართობი 1950 წელთან შედარებით 170 %-ით, ხოლო საარტელო წარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულება კი 250 %-ით გაიზარდა.

მაგრამ რაიონის მეურნეობების მთავარ დარგად მაინც მეცხოველეობა რჩება. აქ უკვე თვით ბუნება შველის ადამიანს, ყველაფერი მოუმზადებია მას ადამიანისათვის, ალპური საძოვრები—ზაფხულისათვის, მთის მზიანი ველები — ზამთრისათვის და თვალუწვდენელი სათიბები ყუბანის ნაპირებზე. ზაფხული აქ გრილია, ზამთარი — მოკლე, ნაკლებ თოვლიანი და მზიანი. აქაური მთის მდინარეების დიდმა დაქანებამ (ერთმანეთისაგან 40 კილომეტრის მანძილზე დაშორებული ქლუხორისა და სოფელ ზედვაკის სიმაღლეების განსხვავება 1000 მეტრს აღემატება) სრული ელექტროფიკაციის საშუალება მისცა რაიონის მშრომელებს. უახლოესი მომავლის საკითხია მეცხოველეობის დარგის ყველა პროცესების ელექტროფიცირება: ელექტრონი წყალს მოუზიდავს ფერმებს, დაჭრის საკვებს, გაჭკრეჭავს ცხვრებს და კიდევ ბევრ სხვა სამუშაოს შეასრულებს.

ქლუხორს გააჩნია აგრეთვე თავისი განსაკუთრებული სიმდიდრე — მაღალი მთის ქართული რუხი ფუტკარი. ამ ფუტკარს განსაკუთრებით გრძელი ხორთუმი აქვს (მისი სიგრძე 7,33 მილიმეტრს აღწევს, იმ დროს, როდესაც სხვა ჯიშების ხორთუმის სიგრძე 5,5 მილიმეტრს არ აღემატება) და ამის მეოხებით მხოლოდ მას შეუძლია წითელი სამყურას დამტვერვა. უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ქართულ მთის ფუტკარს იმის გამო, რომ იგი საჭიროა, ახალი, ჰიბრიდიზებული ჯიშის გამოსაყვანად, რომელიც გამოირჩევა თავისი დიდი სასიცოცხლო ძალითა და იშვიათი ნაყოფიერებით. ცდებმა, რომელიც ჩატარებული იქნა საკავშირო სამეც-





## მოსავლის ოსტატი

ჩაის მკრეფავთა შორის ფართოდ არის ცნობილი სოციალისტური შრომის გმირის ნათელა ბულისკერიას სახელი. ათი წლის წინათ მან მუშაობა დაიწყო სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში. თანდათან ეუფლებოდა ჩაის კრეფის საქმეს. თუ 1948 წელს მისთვის მიჩენილ ნაკვეთზე ბულისკერიამ მოკრიფა 8300 კილოგრამი ჩაი — გასულ წელს 14630 კილოგრამი ჩაი მისცა სამშობლოს. წელს ნათელა ბულისკერიას უფრო დიდი ვალდებულება აქვს აღებული — უნდა მოკრიფოს 24000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი.

ნათელა ბულისკერია დიდი ენთუზიაზმით ჩაება საკ. კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ღირსეულად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

ფოტოზე: სოციალისტური შრომის გმირი ნათელა ბულისკერია.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ნიერო-საკვლევო ინსტიტუტში, სხვადასხვა კოლმეურნეობებში და სხვადასხვა რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობებში, საუკეთესო შედეგები გვიჩვენეს. ქართული მთის ფუტკარი ასიათასობითაა საჭირო, დღეისთვის კი მხოლოდ ცალობით აღირიცხება. საერთო აზრია, რომ კავკასიონის მთების ორივე მხარეზე დედა-ფუტკრების გამომყვან საკავშირო მნიშვნელობის მეურნეობათა შორის ქლუხორის რაიონზე უკეთესი ადგილი არ მოიპოვება. მოხუცებულმა მეფუტკრემ, ანდრონიკ ვიტიუკმა რამდენიმე კვირის განმავლობაში დედა-ფუტკრებზე 324 შეკვეთა მიიღო სტალინაბადიდან, კიევიდან, ტაშკენტიდან, ომსკიდან, კიშინიოვიდან, მოსკოვიდან, სვერდლოვსკიდან და ვორონეჟიდან...

ცალკეულ მეფუტკრეს სეზონის განმავლობაში შეუძლია გამოიყვანოს სულ ბევრი—500 ოჯახი ფუტკრისა. მარტო უკრაინის ბაღ-ვენახების მეურნეობათა ტრესტი კი 50 ათას დედა-ფუტკარს თხოულობს. ცხადია, ასეთი მოთხოვნილება ცალკეულ კოლმეურნის ძალ-ღონეს აღემატება. აქ საჭიროა საარტელო, საკოლმეურნეო მასშტაბით მუშაობა. მილიონიანი შემოსავალი უზრუნველყოფილია, რადგან ყოველი დედა-ფუტკარი 40-50 მანეთი ფასობს. საჭიროა მოწყობა ამ საქმისა, საჭიროა გავაცნოთ კოლმეურნეობებს მეურნეობის ეს ახალი და მაღალშემოსავლიანი დარგი.

გაცილებით მეტ ინიციატივასა და სიბეჯითეს იჩენენ აქ ადგილობრივი მრეწველობის შექმნის საქმეში; მთელი დატვირთვით მუშაობს 13 სხვადასხვა საწარმო, დაწყებული სამთამადნოდან, გათავებული ლუდის საწარმოთი.

უფრო ზემოთ, ტყით დაფარულ მთებში ამზადებენ ხე-ტყეს თბილისის მშენებლობებისათვის.

რომ შევუერთდეთ ტურისტების რომელიმე ჯგუფს და გავემართოთ მოცისფრო და მუდამ სწრაფი თებერდას სათავისაკენ, ვნახავთ, რომ აქ, შედარებით პატარა სივრცეზე ბუნებას უხვად გაუბნევია თოვლიანი მწვერვალები, უღრან ტყეებში ჩამოსული მყინვარები და ტბები, რომელთა ფერი ცაზე გამოჩენილი ღრუბლისაგან ან ქარის დაბერვისაგან იცვლება; ტბებში ფირუზისფერი ყინულები დაცურავენ.

„ეს ადგილი—სწერდა ცნობილი შვეიცარიელი ალპინისტი ა. ფიშერი—მოგვაგონებს დასავლეთის ალპებს, მეტადრე—დოფინეს, მაგრამ სილამაზით, მყინვართა სიმრავლით, ტყეებისა და მცენარეულობის სიმდიდრით გაცილებით აღემატება ყველაფერს, რისი ნახვაც ალპებში შეიძლება. 1280 მეტრის სიმაღლეზე, შედარებით ფართო ტაფობში, გაშლილია სამთო-კლიმატური კურორტის შენობები. აქ უცხოა როგორც სიცხე, ისე ყინვა. ივლისში მაქსიმალური ტემპერატურა 17 გრადუსია, იანვარში კი იგი +5 გრადუსზე დაბლა არ ეშვება. ეს იმიტომ, რომ კურორტი მუდამ მაღლაა ღრუბლებზე. მთის მზე გზავნის ულტრაიისფერ სხივებს, ჰაერი მშრალია და წიწვიანი ტყეების სურნელებითაა გაჟღენთილი. სამხრეთის მხრით ხეობას ღობავს მარადთოვლიანი სოფრუჯა თავისი უზარმაზარი შავი ეშვით."

„მთის მზე"-ს სანატორიუმიდან იწყება განთქმული სახელმწიფო ნაკრძალი. იგი გაჭიმულია 70 ათას ჰექტარზე. 32 ათასი ჰექტარი კლდეებს უჭირავს, 9 ათასი—მყინვარებს, 16 ათასი—ტყეებს, რომელთა ზემო ნაპირი კავკასიის როდოდენდრონის შამბნარს წარმოადგენს.

150-მდე მეცნიერ-მუშაკი—ზოოლოგები, ბოტანიკოსები, გეომორფოლოგები მუდმივად აკვირდებიან ცხოველთა ცხოვრებას, ახდენენ აკლიმატიზაციის ცდებს. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კავკასიონის მთებში შორეული აღმოსავლეთის ხალიანი ირმების მოშენების ცდა.

ნაკრძალის ტერიტორიაზე იშვიათი არ არის ფიჭვი, ნაძვი, წიფელა, რომელთა წლოვანება 300-500 წლამდე აღწევს. დაცულია წითელი ხის კორომები. მიჩურინულ სანერგეში აწარმოებენ ცდებს ბოსტნეულის, ხილის 150-მდე ჯიშზე.

ქლუხორი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და მნიშვნელოვანი რაიონია.

← ქ. ქლუხორის ხედი
ფოტო ბ. ჯეირანოვისა

# გეოგრაფის
## ბლოკნოტიდან

## თებერდის ნაკრძალში

კავკასიონის ჩრდილო კალთებზე—ქლუხორის რაიონის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს თებერდის სახელმწიფო ნაკრძალი. მისი მთავარი სიმდიდრეა საკავშირო მნიშვნელობის კურორტი თებერდა, ტყის მდიდარი მასივები და ცხოველთა სამყარო, მათ შორის ყურადღების ღირსია ჯიხვი (ე. წ. სევერცოვის ჯიხვი), გარეული ღორი და ძვირფასი ქურქის მქონე ტყის კვერნა.

ნაკრძალში დიდი მუშაობა ტარდება ახალი სახეობის სასარგებლო ცხოველების მოშენების დარგში, ესენია უსურიის ენოტისებური ძაღლი, ალტაის ციყვი და ხალიანი ირემი.

უსურიის ენოტისებური ძაღლი სიდიდით მოზრდილ მელას ოდენაა და მაღალი ხარისხის მოშავო ქურქი აქვს. თებერდის ნაკრძალში იგი პირველად მოყვანილი იქნა სომხოვს მონადირეობის საბჭოთა მეურნეობიდან (ვორონეჟის ოლქი) 1934-1935 წლებში.

ენოტისებური ძაღლი სწრაფად გამრავლდა ტყის ზონაში, მაგრამ მას ჯერ სამრეწველო



მნიშვნელობა არა აქვს. მისი მთავარი მტერი მგელი და შინაური ძაღლია.

აკლიმატიზირებულ ცხოველებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ალტაის ციყვს, რომელსაც თავისი შემოსავლიანობით პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის ბეწვეულის სარეწში. 1937 წელს თებერდის ნაკრძალში პირველად გაუშვეს ალტაის ციყვის პირველი პარტია (134 ეგზემპლარი), რაც ციყვის აკლიმატიზაციის დასაწყისად ითვლება მთელ საბჭოთა კავშირში. ციყვმა სწრაფად იწყო გამრავლება და მალე მისი გავრცელების არეალი ნაკრძალის ფარგლებს გასცილდა. დღეისათვის ალტაის ციყვი გვხვდება ქლუხორის რაიონში, სტავროპოლის მხარესა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ამით მტკიცე ბაზა ჩაეყარა საქართველოში ბეწვეულის სარეწს, ალტაის ციყვმა თებერდის ნაკრძალში დაიწყო პირველი წარმატებითი აკლიმატიზაცია და გავრცელება, აქ ჰპოვა მან თავისი მეორე სამშობლო, ამიტომ იგი უკვე ცნობილი უნდა იყოს არა ალტაის, არამედ თებერდის ციყვის სახელწოდებით.



ნაკრძალში ყველაზე საინტერესო ცხოველია ხალიანი ირემი. მისი გავრცელების არეალია ჩრდილო მანჯურია, კორეა და უსურიის მხარე.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩინელი ექიმები ხალიანი ირმის რქას (პანტი) სხვადასხვა ავადმყოფობათა სამკურნალოდ იყენებდნენ. 1569 წელს ჩინელმა ექიმმა ლი-ში-ჯენმა გამოსცა წიგნი „ნაკრები ფარმაკოპეა", რომელშიც ამტკიცებდა, რომ ხალიანი ირმის რქისაგან დამზადებული წამალი ადამიანს ჰკურნავს თითქმის ყოველგვარი დაავადებისაგან, ხოლო ირმის რძე და ხორცი უხანგრძლივებს სიცოცხლეს. გასული საუკუნის ბოლოს ირმის წყვილი რქა ჩინეთის ბაზარზე 300-400 მანეთი ღირდა ოქროთი. საბჭოთა მედიცინამ დაამტკიცა ხალიანი ირმის რქისგან მიღებულ პრეპარატის სამკურნალო თვისებები (განსაკუთრებით ნერვიულ დაავადებულთათვის). მოსკოვში პროფ. ო. პავლენკოს ხელმძღვანელობით შექმნილია სპეციალური პანტის ლაბორატორია, რომელმაც გამოიმუშავა პანტისაგან მეტად აქტიური კონცენტრირებული სამკურნალო პრეპარატი და პანტოკრინი უწოდა. ამის გამო დიდი ყურადღება მიექცა ხალიანი ირმის მოშენების საკითხს. ამ მიზნით შორეულ აღმოსავლეთში შექმნილია მეირმეობის ორი სპეციალური საბჭოთა მეურნეობა — „ლენ-ჩი-ხო" და „სედიმი" (სიხოტე-ალინის მთებში), რომლებშიც ათიათასამდე ხალიანი ირემი ითვლება.

1938 წელს შორეულ აღმოსავლეთიდან თებერდის ნაკრძალში მოიყვანეს 54 ხალიანი ირემი. ისინი კარგად შეეგუენ ადგილობრივ პირობებს და იწყეს გავრცელება. უკანასკნელ წლებში ხალიანი ირმის ჯგუფი შემჩნეული იქნა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზეც. ჯერჯერობით ხალიან ირემს თებერდის ნაკრძალში სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს და მისი გავრცელების არეალიც ერთობ შეზღუდულია, მაგრამ მომავალში თებერდის ნაკრძალი გადაიქცევა ძვირფასი სამკურნალო პრეპარატის—პანტოკრინის დამამზადებელ მეორე ბაზად მთელ საბჭოთა კავშირში.

გრ. ზარდალიშვილი



# ერთი ფაბრიკის ქრონიკები

## ოჯახის ბიოგრაფია

კვირა დღეა. ვნახეთ მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშათა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. იგი ამ რამდენიმე წლის წინათ ააშენეს. ლამაზად მოპირკეთებული შენობაა. ფართო, ნათელ ოთახებში დაბინავებულან ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი. ყოველ ბინაში იგრძნობა ახალი ყოფის ცხოველმყოფელი ზეგავლენა. აი, თუნდაც გ. ზაქარეიშვილის ბინა. მისი ოჯახი 7 სულისაგან შედგება.

საინტერესო ბიოგრაფია აქვს ამ ოჯახს. თვითონ გური 1929 წელს მოვიდა ფაბრიკაში. იგი სამღებრო-სააპრეტურო საამქროს ოსტატის თანაშემწეა, მისი მეუღლე მ. ქლენტი-ზაქარეიშვილი კამვოლურ საამქროს ოსტატია. მან 1929 წელს დაიწყო მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში მუშაობა. არავითარი პროფესია არ გააჩნდა, უბრალო მუშად მიიღეს და აი, ახლა ოსტატის სახელი მოუპოვებია. მისი დედა ნ. ქლენტი პერსონალური პენსიონერია. იგი ძველი ბოლშევიკია; საქართველოს სახელოვან ბოლშევიკებთან ერთად იბრძოდა ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის; რა არ გადახდენია თავს, ახლა კი დამშვიდებული და კმაყოფილი უცქერის თავისი შვილის ბედნიერ ოჯახს. ოჯახის უფროსმა შვილმა ქართლოსმა ნავთობის ტექნიკუმი დაამთავრა და „საქართველოს ნავთის“ სისტემაში მუშაობს ტექნიკოსად. მეორე ვაჟი ედუარდი მერვე კლასის მოსწავლეა. პარალელურად მეცადინეობს თბილისის ოპერასთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში, ხოლო მიხეილი იმავე სკოლაში მეოთხე კლასის მოსწავლედ ითვლება. იგი მუსიკალურ სასწავლებელშიც დადის. ვიოლინოზე დაკვრას სწავლობს. ოჯახში ყველაზე უმცროსი წევრი პატარა მანანა სკოლამდელი ასაკისაა და წელს კიკეთში ისვენებდა ფაბრიკის საბავშვო ბაღთან ერთად.

შეძლებულად, კულტურულად ცხოვრობს ზაქარეიშვილის ოჯახი. ასეთია ამ ოჯახის მოკლე ბიოგრაფია, რომელიც საერთოდ საბჭოთა მუშის ოჯახის ტიპიურ ბიოგრაფიას წარმოადგენს.

## სადირექტორო ფონდი

დირექტორის კაბინეტში ზის ფაბკომის თავმჯდომარე ამხ. პ. ციცხვაია. იგი ამხ. ნიკო თუშიშვილს თხოვს სადირექტორო ფონდიდან გამოჰყოს თანხა ვოლგა-დონზე 20 მოწინავე მუშის ექსკურსიის მოსაწყობად. როგორ შეიძლება ასეთ წინადადებას არ დაეთანხმოს დირექტორი? კომუნიზმის მშენებლობები უსათუოდ უნდა ნახონ მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მოწინავე მუშებმა, დირექტორმა ამ მიზნით 19.000 მანეთი გამოჰყო.

და განა მარტო ამ საქმეში დაეხმარა დირექტორი ფაბრიკის კომიტეტის თავმჯდომარეს. სადირექტორო ფონდიდან კლუბის რემონტისათვის წელს გაღებულ იქნა 50.000 მანეთი. საფაბრიკო კლუბმა სულ შეიცვალა იერი: იგი გამშვენიერდა, გართობისა და დასვენების შესანიშნავ კერად იქცა.

ამავე ფონდიდან გაღებულ იქნა თანხები საბავშვო ბაღის კეთილმოწყობაზე, ამ ბაღის აღსაზრდელთა სააგარაკოდ გასაგზავნად, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების პიონერულ ბანაკებსა და სანატორიუმებში დასასვენებლად.

ვინ მოსთვლის რამდენი მუშა-მოსამსახურე იქნა გაგზავნილი ამ ფონდის დახმარებით სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში?!

გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, რომელთა წინადადებები საწარმოო გეგმის შესრულებას ხელს უწყობენ, ამავე ფონდიდან ეძლევათ პრემიები. მეტად საპატიო დანიშნულება აქვს სადირექტორო ფონდს.

საიდან იქმნება ეს ფონდი?

იმ წარმოებებში, სადაც საწარმოო პროგრამა ყველა მაჩვენებლების მიხედვით — 100%-ით და გადაჭარბებით სრულდება, გამოიყოფა სადირექტორო ფონდი. თუ გასული წლის დაგროვება უდრის გეგმით გათვალისწინებულ თანხას, მაშინ ამ თანხიდან სადირექტორო ფონდში გადაირიცხება 2%. მაგრამ თუ კი დაგროვება დაგეგმილ თანხას აჭარბებს, სადირექტორო ფონდში კიდევ უფრო მეტი პროცენტი ირიცხება...

თავდადებული სტახანოვური შრომა, მუშაობის ნოვატორული მეთოდი — ყველაფერი ის, რაც წარმოების წინსვლას ხელს უწყობს, ეხმარება სადირექტორო ფონდის ზრდას. წელს მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სადირექტორო ფონდი 268 ათას მანეთამდე აღწევს.

ეს თანხა მთლიანად ხმარდება საგზურების შეძენას, კლუბის კეთილმოწყობას, საბავშვო ბაღისა და ბაგის მუშაობის გაუმჯობესებას, სპორტის განვითარებას, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების პრემიებსა და მუშების ერთდროულ დახმარებას.

## დასასვენებელი კომბინატი

თბილისიდან 28 კილომეტრის დაშორებით, აგარაკ კიკეთში მოთავსებულია მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშათა დასასვენებელი კომბინატი. უზარმაზარი ტერიტორია უკავია ოთხ შენობას. ერთ მათგანში ისვენებენ ფაბრიკის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, ორ შენობაში კი ფაბრიკის მუშათა ოჯახები. მეოთხე სახლი განსაკუთრებული დანიშნულებისაა — მას ერთდღიური დასვენების სახლს უწოდებენ. ამ სახლში დასასვენებლად მოდიან მუშები ყოველ შაბათს, ხოლო უკან ბრუნდებიან ორშაბათ დილით.

წელს დაიწყო მეხუთე სახლის მშენებლობა. იგი პირველი და მეორე კორპუსის შორის აიგება. 300 ათასი მანეთი დაიხარჯება ამ შენობის ასაგებად. ეს სახლიც მუშათა ოჯახების დასასვენებლად არის გათვალისწინებული.

კომბინატის მთელი ტერიტორია შემოღობილია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტერიტორიის გამწვანებას. აქ დარგეს 500 ძირი ათწლიანი ნაძვის ხე. მრავალი ასეული ძირი ოლეანდრა ჰყვავის სახლების წინ, ტერასებზე, კიბეების გაყოლებით. ყოველწლიურად უფრო კეთილმოწყობილი გახდება მუშათა ეს დასასვენებელი კომბინატი.

## სტუმრად გოგორიშვილთან

ქალაქგარეთ, სამგორის არხის ახლოს, გადაჭიმულა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ინდივიდუალური მებოსტნეების ნაკვეთები. 4,5 ჰექტარი ფართობი უჭირავს ამ ნაკვეთებს. თვითეულ მუშას 600 კვ მეტრი მიწა აქვს მიზომილი. თქვენ უნდა ნახოთ, როგორი ენთუზიაზმით მუშაობენ მიწის ნაკვეთებზე მუშები. თავისუფალ



ფოტოზე: — ზემოთ: მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დასვენების კომბინატის საერთო ხედი.

ქვემოთ: შალვა გოგორიშვილი იღებს ბოსტნის მოსავალს.

დროს ბუნების წიაღში ატარებენ. ძირითადად ბოსტნეულს თესენ, მაგრამ ამ ნაკვეთებზე თქვენ ნახავთ ატმის, ქლიავის, ვაშლისა და მსხლის ხეებსაც. ვენახიც აქვე აქვთ ჩაყრილი.

სწორედ ასე გამოიყურება ოსტატ შალვა გოგორიშვილის ნაკვეთი. ჩვენ რომ მივედით, იგი ხახვის მოსავალს იღებდა.

— ბოსტნეულისათვის ბაზარში არ მივდივარ. ყველაფერი მაქვს ჩემს პატარა ბოსტანში. მალე ხილიც და საკუთარი ღვინოც მექნება

მართლაც სიყვარულით არის მოვლილი ეს ნაკვეთი. შალვა გოგორიშვილს პატარა ფიცრული ფარდულიც კი აუშენებია აქ.

— ეს ჩემი საზაფხულო თავშესაფარია. ბოსტანში მუშაობის შემდეგ მე და ჩემი მეუღლე სიცხეს აქ ვაფარებთ ხოლმე თავს.

გოგორიშვილის ნაკვეთის გვერდით ჩამწკრივებულია მაუდის ფაბრიკის მებოსტნეთა ნაკვეთები, ჯერჯერობით მათ 45 ნაკვეთი აქვთ. მოთხოვნილება კი უფრო დიდია. ფაბკომი ცდილობს, რათა 3 ჰექტარი მიწა კიდევ მიიღოს ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

— აი, აქვე ჩვენი მუშები სახლებსაც აშენებენ, — გვეუბნება შალვა გოგორიშვილი. — 27 ინდივიდუალური მშენებლობაა ამ ტერიტორიაზე. მშენებლობას ხელფასის დანაზოგებითა და კომუნალური ბანკის სესხების საშუალებით აწარმოებენ. სულ მალე აქ ქვითკირის კოხტა სახლებიც იქნება ჩაწკრივებული. ამ სახლებს მწვანე ეზოები დაამშვენებენ.

ინდივიდუალურ მშენებლებსაც ფაბრიკა ეხმარება ტრანსპორტით და სამშენებლო მასალებით.

დიდი გატაცებით გვიამბობს ამხანაგი გოგორიშვილი ამ მშენებლობათა შესახებ. იგი ფაბკომთან არსებული საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის თავმჯდომარეა და აქაც სისტემატურად ადევნებს თვალყურს მისთვის მინდობილ საქმეს.

## კოლექტიური ხელშეკრულებით

კოლექტიური ხელშეკრულებითაც ბევრი რამ არის გათვალისწინებული მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მიმდინარე წელს საბინაო მშენებლობაზე გაღებულ იქნება ორი მილიონი მანეთი. წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს ერთი 16 ბინიანი კორპუსი. საცხოვრებელი ფონდის კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებაზე დაიხარჯება 388 ათასი მანეთი.

გარდა ამისა, პროფესიული კავშირის ხაზით ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე დაიხარჯება 250.000 მანეთი.

კოლექტიური ხელშეკრულება ორმხრივი ვალდებულებაა. იგი ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, ამავე დროს რაზმავს მუშათა კოლექტივს საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მთელი კოლექტივი იბრძვის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ყველა მოწინავე მუშა, ყველა საამქრო, სტახანოვურ ვახტზე დგას პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად.

**ნ. ნარიმანიძე**

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



გ. ზაქარეიშვილის ოჯახში



ქვეოსტატ ნ. ხარიტონაშვილის სახლის მშენებლობაზე

ფაბრიკის საბავშვო ბაღის ნორჩი მეაბრეშუმეები



# ნობათი გორიდან

ვ. კილაძე

სად არ ნახავთ ამ სხვადასხვა ზომის ლამაზ ეტიკეტიან ქილებს! მათ შეხვდებით საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქსა და რაიონში; ისინი იგზავნებიან შორეულ აღმოსავლეთში, უკიდურეს ჩრდილოეთში, შუა აზიაში,—იგზავნებიან ყველგან, სადაც მატარებელი, მანქანა, გემი, თვითმფრინავი, ან მარხილი მიუდგება. კრიალა შუშებში მოჩანს ბარაქიანი ქართული მიწის მოსავალი,—გორის, ქარელის, კასპის რაიონებში დაკრეფილი უგემრიელესი ხილი და ბოსტნეული.

ყოველდღე იტვირთება საბარგო ვაგონები შუშისა და თუნუქის ქილებით. ვაგონებს აწერია იმ ქალაქის, მხარის, ან ქვეყნის სახელები, სადაც მათ ეს კონსერვები უნდა მიიტანონ: „ხაბაროვსკი,“ „მურმანსკი“, „ვლადივოსტოკი“, „ვოლგა-დონი“, „კამჩატკა“, „სახალინი“, „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა“ და კიდევ მრავალი სხვა მისამართის ამოკითხვა შეიძლება ზედ.

საკონსერვო ქარხნის დირექტორის ამხ. ხარატიშვილის კაბინეტში შევდივართ.

— როგორ მიდის გეგმების შესრულების საქმე? — ვეკითხებით დირექტორს.

იგი მოკლედ გვპასუხობს კითხვებზე და ამ მოკლე პასუხებიდან ირკვევა, რომ გეგმების შესრულების საქმე კარგადაა, — გეგმები გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

— გთხოვთ, დაგვისახელოთ რამდენიმე მოწინავე მუშა, რომ ჟურნალისათვის სურათი გადავუღოთ,— თხოვს ჩვენი ფოტოკორესპონდენტი დირექტორს.

— ეგ ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა, — გაეღიმა ამხ. ხარატიშვილს, თან პარტბიუროს მდივანსა და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს გადახედა.

— როგორ, ნუთუ ასეთ მოწინავე ქარხანაში არც ერთი სტახანოველი მუშა არა გყავთ? — გაოცდა ფოტოკორესპონდენტი.

— არა, პირიქით! ჩვენ ორასზე მეტი სტახანოველი გვყავს და ყველა მათგანი მოწინავეა. თუ ყველას გადაღებას მოახერხებთ, ძალიან კარგი იქნება,—გაეღიმა ამხ. ხარატიშვილს.



ფოტოკორესპონდენტი დაიბნა: როგორ უნდა გადაიღოს ორასზე მეტი კაცი?

***

შევდივართ ფართო ეზოში, რომელშიც სწორ მწკრივებად დგანან ქარხნის კორპუსები. საამქროებში ბარაქიანი შემოდგომის სურნელი დგას. ურიკებს შემოაქვთ ვაშლით, მსხლით, ატმით, ქლიავით, ღოღნაშოთი, სტაფილოთი, წიწაკით, ხახვით, კიტრით და სხვა ათასგვარი ხილით თუ ბოსტნეულით სავსე ყუთები. კონვეიერის გრძელ ლენტებს მიაქვთ ეს ხილი და ბოსტნეული წყლის აბაზანებისა და მძლავრი შხაპებისაკენ; ხდება მათი გადარჩევა, დახარისხება, შუშისა და თუნუქის ქილებში ჩალაგება, სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესით დამუშავება, იმისდა მიხედვით, თუ რა სახის კონსერვი კეთდება; ერთ ადგილას წიწაკისათვის ფარში მზადდება, მეორე ადგილას კიტრის დასამჟავებლად სანელებლები ლაგდება ქილებში. იხარშება მურაბები, კეთდება კომპოტი. 50-მდე სახის სხვადასხვა უმაღლესი ხარისხის პროდუქცია გამოდის ამ ქარხნიდან.

მთავარ საამქროში მუშაობს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტახანოველი ჟუჟუნა ბერიძე. იგი ყოველდღიურ გეგმას 150%-ით ასრულებს.

— პარტიის XIX ყრილობასთან დაკავშირებით, მე ვიღებ ვალდებულებას თვიური გეგმა 160 %-ით შევასრულო,—განუცხადა მან თავის ამხანაგებს საერთო კრებაზე და, როცა მის მუშაობას უყურებთ, გჯერათ, რომ იგი აღებულ ვალდებულებას მართლაც პირნათლად შეასრულებს.

აქვე მუშაობს ელენე მახარობლიძე. იგი საოლქო კონფერენციის დელეგატად იქნა არჩეული; აქვეა მარიამ ბარიშვილი, მარიამ საგინაშვილი, მარო ლომიძე, ტატიანა პიატიგორეცი, მარიამ ყანჩაველი და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი მოწინავე სტახანოველი.

საამქროებში ისეთი სანიმუშო სისუფთავეა, რომ, როცა შიგ შედიხართ, ძალაუნებურად საკუთარ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და ხელებს აკვირდებით, — გეშინიათ, მტვრის ერთი ნამცეციც, ან რაიმე ჭუჭყი არ შეიტანოთ შიგ. ყოველ საამქროს აქვს აბაზანა, სადაც მუშები ბანაობენ მუშაობის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ.

გორის საკონსერვო ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეთაგანია მთელს საბჭოთა კავშირში. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ამ ქარხანამ უკვე მეოთხეჯერ მოიპოვა პირველობა და დაიმსახურა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროშა, რომელიც დირექტორის კაბინეტს ამშვენებს. დროშასთან ახლოს, კედელზე ჰკიდია საპატიო სიგელი. ეს სიგელი იუწყება, რომ ქარხანას მინიჭებული აქვს „საუკეთესო პროდუქციის გამომშვები ქარხნის“ სახელწოდება.

პარტიის XIX ყრილობასთან დაკავშირებით მთელი ქარხანა სტახანოვურ ვახტზე დადგა: მუშა-მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს სამშობლოს მისცენ 1952 წლით გათვალისწინებული გეგმის ზევით 1 მილიონი მანეთის დაგროვება.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს მარტო კარგი კონსერვების გამოშვება როდი ეხერხებათ, — ისინი კარგად არიან დაუფლებული სპორტსაც.

ქარხნის კალათბურთელთა გუნდმა წელს პირველი ადგილი დაიკავა საოლქო პირველობის გათამაშების დროს, ხოლო აქაური ფეხბურთელთა გუნდი საზოგადოება „პიშჩევიკის“ ხაზით ერთ-ერთი პირველთაგანია ჩვენს რესპუბლიკაში.

საქარხნო კლუბში ჩამოყალიბებულია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

მთელი დღე არ წყდება გუგუნი საამქროებში. უზარმაზარ ქვაბებს განუწყვეტლივ ასდის ოხშივარი და შემოდგომის სასიამოვნო სურნელით იჟღინთება ჰაერი. ეს შემოდგომის სურნელი განუწყვეტლივ, მუდამ დგას აქ: ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე.

გულმოდგინედ მუშაობენ ქარხნის სტახანოველები და საბარგო ვაგონების ეშელონები განუწყვეტლივ იტვირთება სხვადასხვა კონსერვებით სავსე თუნუქისა და შუშის ქილებით. ქილებზე ათასგვარი ლამაზი ეტიკეტია დაკრული. კრიალა შუშებიდან იცქირებიან ბალი, ვაშლი, ატამი, ქლიავი, ტყემალი, კიტრი და სხვა მრავალი ხილი თუ ბოსტნეული. გონების თვალით მივყვები ამ ვაგონებს და თითქოს ვხედავ, — როგორ ხსნის ქილას წითელი ფლოტის მამაცი მეზღვაური არხანგელსკსა, ვლადივოსტოკსა თუ მურმანსკში, როგორ ამშვენებს ვოლგა-დონის არხის მშენებელთა სუფრას ეს კონსერვები, ვხედავ, როგორ შეექცევიან მას მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ალმა-ატის, ტაშკენტის და სხვა ქალაქების მშრომელები, როგორ ხალისით შესცქერის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობა ქართული ბარაქიანი მიწის ამ მოსავალს—ნობათს გორიდან.



# ქართველი ალპინისტების ბრწყინვალე გამარჯვება

ო. მთიულიშვილი

როდესაც შესანიშნავმა ქართველმა მთამსვლელმა, სსრკ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე ჯაფარიძემ წამოაყენა წურუნგალადან გესტოლამდე კავკასიონის ქედის მონაკვეთის ერთი იერიშით გადავლის აზრი, ბევრს ეგონა, რომ ეს აღემატებოდა ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობას, მაგრამ ალექსანდრე ჯაფარიძე პრაქტიკულად შეუდგა ამ გაბედული აზრის განხორციელებას: 1940 წლის 23 სექტემბერს ს. ცანიდან წურუნგალას მწვერვალისაკენ გაემართა მძიმე ზურგჩანთებით დატვირთული მთამსვლელთა ჯგუფი. გადაიარეს წურუნგალა, აილამა, ნამყვამი, მათ შორის მდებარე რამდენიმე უსახელო მწვერვალი და მიადგნენ შხარას ყინულით ალესილ ქედს. აქ, მარადიული თოვლის სამყაროში უკვე ზამთარი იდგა. მთამსვლელებმა დასძლიეს გზის უძნელესი უბანი, მაგრამ შხარასა და რუსთველის მთას შორის ამინდმა საბოლოოდ უმტყუნათ და ჯგუფი საშინელ ავდარში იძულებული გახდა უძირო ქარაფებით დაშვებულიყო სამხრეთისაკენ. მიუხედავად ამისა, ის, რაც გაკეთდა — წარმოადგენდა ჩვენი საბჭოთა ალპინისტების ახალ, შესანიშნავ გამარჯვებას.

ამ ზაფხულს მთამსვლელთა ჯგუფმა ა. ნემსწვერიძის (ხელმძღვანელი), გ. გულბანის, რ. კვიციანის და ლ. ახვლედიანის შემადგენლობით გადასწყვიტა განეხორციელებინა ეს დიდი ტრავერსი იმ სახით, როგორც ეს განზრახული ჰქონდა ალექსანდრე ჯაფარიძეს. მაშველ ჯგუფში შედიოდნენ: ს. გუგავა, ზ. ახვლედიანი, დ. გალდავა და ჯ. გუგავა. მთამსვლელებს ერთი იერიშით, ძირდაუშვებლად უნდა აეღოთ 17 მწვერვალი, მათ შორის ბუმბერაზ კედლად აღმართული შხარაა. სიმაღლით, იალბუზის შემდეგ, იგი ყველაზე დიდია კავკასიონზე, მისი მთავარი მწვერვალის სიმაღლე უდრის 5201 მეტრს ზღვის დონედან.

მოიერიშე ჯგუფის წევრები ა. ნემსწვერიძე, გ. გულბანი, ლ. ახვლედიანი და რ. კვიციანი უკვე რამდენიმე წელიწადია ერთად დადიოდნენ და თავიდანვე მიიქციეს ყურადღება, როგორც ძლიერმა მთამსვლელებმა. შარშან ზაფხულში კი ამ ოთხეულმა მოახდინა ორ ნახევარ დღეში უშბას ორივე მწვერვალის ტრავერსი. ასე სწრაფად უშბის ორივე მწვერვალი არ გაუვლია მთამსვლელთა არც ერთ ჯგუფს. ამიტომ გასაგებია, რომ სწორედ ამ ოთხეულმა ითავა ალექსანდრე ჯაფარიძის გაბედული აზრის განხორციელება.

ჯგუფმა სწრაფი ტემპით გაიარა გზის პირველი უბანი—მწვერვალები: წურუნგალა (4222 მეტრი), აილამა (4525 მეტრი), ორი უსახელო მწვერვალი აილამასა და ნამყვამს შორის, ნამყვამი (4284 მეტრი), 4 უსახელო მწვერვალი შხარასა და ნამყვამს შორის და დაიწყო ასვლა შხარას ყინულოვანი თხემით. აქედან იწყებოდა ე. წ. ბეზენგის კედელი. შხარას სამი მწვერვალის (5000, 5201 და 5057 მეტრი) გავლის შემდეგ მთამსვლელებმა დასძლიეს შხარასა და რუსთველის მწვერვალის შემაერთებელი თხემი, რომელიც, მართალია, შედარებით მოკლეა, მაგრამ დასაძლევად მეტად ძნელია და სახიფათო. მასზე აღმართულია მრავალი კლდოვანი ქიმი, რომლებიც თითქოს დარაჯობენ მწვერვალს, რომ მთამსვლელი არ მიუახლოვდეს მას. ამიტომ ასეთ კლდოვან ქიმებს, რომლებიც სიმაღლით ხშირად რამდენიმე ათეულ მეტრს აღემატებიან, მთამსვლელებმა „გუშაგები" შეარქვეს. შხარასა და რუსთველის მთას შორის ბევრი ასეთი „გუშაგია". მათი მწვერვალებიდან გადმოკიდებულია თოვლისა და ყინულის ლავგარდანები, რომლებიც ყოველ წუთს



ალექსი ნემსწვერიძე

ჩამონგრევით და სიკვდილით ემუქრებიან მთამსვლელთ. მათ უხდებოდათ ასეთ ლავგარდანების ქვეშ 30-35 კილოგრამიან ზურგჩანთებით სიპ მოყინულ კლდეებზე საათობით ცოცვა და ყველაფერი ეს 5000 მეტრის სიმაღლეზე, ჟანგბადის ნაკლებობის პირობებში, როდესაც ადამიანს უჰაერობით სული ეხუთება და ჰაერი სწყურია ისე, როგორც წყალი. კლდოვან ქიმებს ცვლიდა ყინულოვანი თხემები, სადაც ლავგარდანები ახლა უკვე ფეხქვეშ ქონდათ მთამსვლელებს და ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი საკმარისი იყო მათ ჩასანგრევად, ხანაც დანის პირივით ალესილ ყინულის თხემზე მოექცეოდნენ და მიცოცავდნენ ზედ გადამჯდარნი, ანდა თხემს წერაყინებით უჭრიდნენ ბიბილოს, რომ ზედ ფეხის ტერფი დატეულიყო.

რუსთველის მთის შემდეგ ჯგუფმა გადაიარა ჯანღას აღმოსავლეთისა და დასავლეთის მწვერვალები (5049 და 5051 მეტრი) და კატინი (4970 მ). აქედან ჯგუფმა გაუხვია თეთნულდისაკენ (4822 მ.), მოიტოვა რა ჩრდილო-დასავლეთით ბეზენგის კედლის ორი უკანასკნელი მწვერვალი, გესტოლა და ლიალვერი და, ამრიგად, განახორციელა ბეზენგის კედლის ტრავერსის სამხრეთი ვარიანტი. რუსთველის მთასთან მოიერიშე ჯგუფს შეუერთდა მაშველი-დამხმარე ჯგუფი და დარჩენილი მონაკვეთი გაიარა მოიერიშე ჯგუფთან ერთად, ხოლო მაშველი-დამხმარე ჯგუფის უფროსმა, სოზარ გუგავამ ტრავერსის მთელი ტრასა წურუნგალადან თეთნულდამდე გაიარა მოიერიშე ჯგუფთან ერთად.

ჯგუფმა ეს ტრავერსი შესანიშნავი ტემპით ჩაატარა. მთელი დისტანცია გავლილია 15 დღეში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, ბეზენგის კედლის მწვერვალების გავლის დროს, ე. ი. ტრასის უძნელეს და ურთულეს უბანზე ჯგუფის მოძრაობის ტემპი ორჯერ უფრო სწრაფი იყო, ვინემ ეს წესით მიღებულია ამ უბნისათვის. ამ ტრავერსმა დაამტკიცა, რომ ა. ნემსწვერიძის, გ. გულბანის, რ. კვიციანის, ლ. ახვლედიანის და ს. გუგავას სახით ჩვენ გვყავს საერთაშორისო კლასის მთამსვლელები. ამავე დროს ამ „ალპურმა მარათონმა" და ალ. ჯაფარიძის 1940 წლის ტრავერსმა საფუძველი ჩაუყარეს ტრავერსების სრულიად ახალ სახეს—დისტანციურ ტრავერსებს.

# ზუსტი ხელსაწყოები




თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივს წილად ხვდა ბედნიერება. მონაწილეობა მიეღო კულტურის სასახლის—მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ზუსტი ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოებით დაკომპლექტებაში.

ქარხნის კოლექტივი ღირსეულად ასრულებს საპატიო შეკვეთებს. გასულ წელს მან 14 სახელწოდების 337 ცალი ზუსტი ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყო გაუგზავნა უნივერსიტეტს. კიდევ უფრო უკეთესად მუშაობს ქარხანა წელს.

ცოტა ხნის წინათ ქარხნის კოლექტივმა წერილი მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტის მშენებელთა კოლექტივისაგან. მშენებლები თხოვდენ ქარხნის კოლექტივს ვადაზე და მაღალხარისხოვანი პროდუქცია გაეგზავნათ მათთვის.

ქარხანაში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საპატიო დაკვეთების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხელსაწყოების ხარისხს, რათა თბილისის მარკის ზუსტი ხელსაწყოები ხარისხით და გარეგნობითაც შეესაბამებოდნენ ჩვენი ეპოქის ამ გრანდიოზულ ნაგებობას.

ქარხანა უნივერსიტეტისათვის ამზადებს: 1) ჰიდრომეტრულ ტრიალებს, რომლებიც წყლის სიჩქარის გასაზომად იხმარება მდინარეებში, არხებში და წყალსაცავებში. დინების სიჩქარე კი საჭიროა წყლის ხარჯის გასაზომად. ამ მონაცემების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ჰიდროტექნიკური მშენებლობის დაპროექტება. 2) აორთქლებმზომებს. ამ ხელსაწყოების საშუალებით ხდება აორთქლების ინტენსივობის გაზომვა წყალსაცავების და ნიადაგის ზედაპირიდან. 3) დონის თვითმწერებს, 4) ნიადაგის ორი სახის ბურღებს, 5) აქტინომეტრულ ხელსაწყოებს მზის მოკლე ტალღოვანი რადიაციის ინტენსივობის გასაზომად.

ამ ჯგუფში 4 ხელსაწყო შედის — აქტინომეტრი, პირანომეტრი, სტაციონური გადასატანი ალბედომეტრი.

აქტინომეტრული ხელსაწყოები ქარხანამ 1951 წელს აითვისა უნივერსიტეტის და კომუნიზმის დიადი მშენებლობის დაკვეთით. გასულ წელსვე ხელსაწყოებმა თბილისში და ლენინგრადში გაიარეს სრული საველე საკონტროლო შემოწმება, როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის პირობებში და მეტად მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ამჟამად, მსოფლიოში პირველად, აქტინომეტრული ხელსაწყოები თბილისში მზადდება საქარხნო პირობებში.

თბილისის მარკის ხელსაწყოები მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს და ასპირანტებს დაეხმარებიან გავლილი თეორიული მასალის პრაქტიკულად დამუშავებაში, აგრეთვე ლაბორატორიულ და სამეცნიერო სამუშაოებში.

მოსკოვის უნივერსიტეტის შეკვეთებზე განსაკუთრებით თავდადებით შრომობენ ქარხნის ახალგაზრდა მუშები: თ. გონგაძე, ალ. აბაზაძე, მ. მჭედლიძე, ნიკ. ხმალაძე, ივ. ბოგდანოვი და სხვები. ეს გასაგებიცაა. ახალგაზრდა მუშები წარმატებით მუშაობასთან ერთად, ასევე წარმატებით სწავლობენ სალამოს სკოლებში; ზოგი მათგანი მედლის კანდიდატია და გადაწყვეტილი აქვთ უმაღლესი განათლება მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში მიიღონ. ამიტომაც ისინი განსაკუთრებული სიყვარულით და მონდომებით ამზადებენ თვითეულ დეტალს, რათა მოსკოვში სწავლის დროს სიამაყის გრძნობით თქვან—ეს ხელსაწყო ჩემი დამზადებულია.

შალვა გურაბანიძე

ფოტოზე: ი. ბოგდანოვი და მ. მჭედლიძე



# მწვანე ეშელონები

**ქ. გოგიავა**

ალიონისას ახალი ათონის რკინიგზის სადგურში ჩამოდგა ღია და დახურული ვაგონების გრძელი ეშელონი. ახალგაზრდა მტვირთავი მუშა საწყობში შევიდა, და თეთრულვაშიან მწონავს გაოცებით შეეკითხა:

— ბიძია, აქ ბარგი არა გვაქვს, რა უნდა ჩავტვირთოთ?

— აბა, რა ვიცი შვილო, — განგებ მიუგო მან, — ამ ვაგონებს რა გაავსებს!

ახალგაზრდა მუშის ყურადღება მალე საბარგო ავტომობილების გუგუნმა მიიპყრო. მზე უკვე ამოსული იყო. გუდაუთის მაღალ მთებს ნათელი ადგა. ზღვა ოდნავ ღელავდა. ცივი, ნოტიო ჰაერი ნაადრევად აყვავებული ტყემლისა და ვაშლის ხეების სურნელით იჟღინთებოდა. სადგურის უკან შეჩერდნენ ავტომობილები. მათზე პალმები ირხეოდნენ. მათ მარაოსავით გაშლილ ფოთლებს ზღვის ნიავი ოდნავ აშრიალებდა. მაგნოლიის ნერგები მძიმედ ქანაობდნენ... ლურჯკაბიანი ქალიშვილი ძარაზე იდგა და ოლეანდრის ბუჩქებს ახალ ყლორტებს აჭრიდა.

ახალგაზრდა მტვირთავი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ჩანწკრივებულ ავტომობილებს. მას მოაგონდა სამამულო ომი, როცა მოსკოვის ფრონტზე მიდიოდნენ საჭურველით დატვირთული ავტომობილები, და რომ მტრის თვითმფრინავებს არ შეენიშნათ, სწორედ ასე მწვანედ იყვნენ შენიღბულნი.

— სად მიაქვთ ეს ხეები? — ასძახა მტვირთავმა მუშამ ლურჯკაბიან ქალიშვილს.

— მოსკოვში! — მიუგო მან ისე, რომ ვაჟისათვის არც შეუხედავს.

— კარგი ერთი, მართალი მითხარი! — არ სჯეროდა ვაჟს.

—შენ რა ურწმუნო ყოფილხარ, ბიჭო.—ქალიშვილმა ვაჟის ტანისამოსზე შეატყო, რომ მტვირთავი იყო და გაკვირვებულმა უთხრა: — ეგ როგორ არ იცი?!

ამ დროს ახალგაზრდა მუშას ბრიგადირმა დაუძახა. მოედანზე მტვირთავები მოგროვილიყვნენ, დაიწყო ავტომობილების დაცლა. მიწიანათ ამოთხრილ ნერგებს ფესვებზე ტომრები ჰქონდა შემოხვეული. მაგნოლიის, ტვიის და ოლეანდრას ბუჩქები ყუთებში ჩაერგათ, ხოლო სუბტროპიკული ყვავილები თიხის ქოთნებით შეჰქონდათ ვაგონებში.

რამდენიმე საათში ეშელონი დატვირთეს. მძიმედ დაიძრა ორთქლმავალი. ღია ვაგონებში ჩამწკრივებულ ნერგებს თითქოს ქარმა დაუქროლაო, ერთი შეირხნენ და მერე ფოთლების შრიალით გაუდგნენ გზას დედა-მოსკოვისაკენ.

იმ დღეს საჰაერო ხომალდიც მიჰქროდა, რომ მშობლიურ მოსკოვში დროზე ჩაეტანა შავი ზღვისპირის ნაზი ყვავილების ნერგები. ეს მარადფოთლოვანი და სურნელოვანი ყვავილების გამომტანი მცენარეები დაამშვენებენ სოციალისტური სახელმწიფოს გულს, გმირი ქალაქის ბაღებსა და მოედნებს, დაწესებულებებსა და სახლებს.

თითქმის ოცი წელია ნაყოფიერად მუშაობს მოსკოვის საბჭოს გამწვანების სამმართველოს სუბტროპიკული და ბოლქვოვანი კულტურების შავი ზღვის სანაპიროს კომბინატი. ამ კომბინატს თავისი სანერგე მეურნეობები აქვს სოხუმში, ათონში, გალსა და მახინჯაურში. აქ სამოცდაათზე მეტი ჯიშის მცენარეს ამრავლებენ, მიჩურინული მებაღეობის წესით გამოჰყავთ მრავალი ყინვაგამძლე ხე და ასეულ ათასობით მათი ნერგი შესანიშნავად ხარობს მოსკოვის მიწაზე.

ამ კომბინატს პირველად სოხუმში ჩაეყარა საფუძველი. 1934 წელს მას აქ ერთი პატარა მეურნეობა ჰქონდა, რომელსაც ასობით ნერგი გამოჰყავდა, მაგრამ სტალინური ხუთწლედების მანძილზე, როცა ქალაქი მოსკოვი იზრდებოდა და ვითარდებოდა, მისი პარკები და სკვერები, ქარხნები და დაწესებულებები უფრო მეტ გამწვანებასა და გალამაზებას მოითხოვდნენ· ამიტომ გაფართოვდა ეს კომბინატიც. დღეს მას 140 ჰექტარი ფართობი უჭირავს და ათობით სათბური და ორანჟერეა აქვს. ქართული მიწის ათასობით მკვიდრმა მცენარემ აიყარა ტანი მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში.

შავი ზღვის სანაპიროდან წამოსული მცენარეები ახარებენ მოსკოველ ბავშვებს. მათ დასვენების ოცდაათი პარკი აქვთ, რომელთა ყვავილნარებს ყოველწლიურად ახალ-ახალი ჯიშის ვარდები და პალმები ემატებიან.

კომბინატი არის ნამდვილი სამეცნიერო და სამეურნეო ორგანიზაცია. აქ გულდასმით სწარმოებს მცენარეთა შესწავლა, მუშავდება მისი გამრავლების უფრო სრულყოფილი საშუალებები. აქ მარტო საწარმოო ბრიგადებს შორის როდია გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება! შავი ზღვის სანაპიროს კომბინატმა შეჯიბრებაში გამოიწვია მოსკოვისა და ჩრდილოეთ კავკასიის კომბინატები. ამ შეჯიბრებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. წლის პირველ ნახევარში კომბინატს 169 ათასი ძირი ნერგი უნდა გამოეყვანა, მაგრამ მან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს 236.222 ძირი დეკორატიული, სუბტროპიკული და ბოლქვიანი მცენარე გაუგზავნა.

დღეს, როცა ნიუ-იორკიდან და ლონდონიდან გამოდიან საომარი საჭურველით დატვირთული ეშელონები, რათა კორეასა და ჩინეთში დაღვარონ მშრომელთა სისხლი, — მოსკოვში მცენარეებისა და ყვავილების ნერგებით დატვირთული ეშელონები, შედიან რათა გაიხარონ ქუჩებსა და სკვერებში, ბაღებსა და სახლებში და კიდევ უფრო დაიცვან მშრომელთა ჯანმრთელობა.





ფოტოზე — ზ ე მ ო თ: ირინე დიმიტრიენკო რწყავს მოსკოვში გასაგზავნ ყვავილებს, ქ ვ ე მ ო თ: ახალი ათონი. დეკორატიულ მცენარეთა სათბურები.

**კუბა***

## შვილს

ახლა ყველაფერს
შენ დაიწყებ, შვილო, თავიდან,
გახვალ ქვეყნად და
ცხოვრების აზრს მაშინ გაიგებ;
ბრძნული აზრებით აღვსებულს
„კაპიტალიდან"
ლენინისა და სტალინისკენ
დიდ გზას გაიგნებ.
და იმ წუთიდან
მთელი გულით,
მთელი გონებით
მიხვდები, რომ ღირს —
გწამდეს ქვეყნად: ბრძოლა, შენება,
რომ მხოლოდ შრომით ათეული
მილიონების
იქმნება ქვეყნად ადამიანთ ბედნიერება.
არა ბანკირნი —
ხალხთ სინდისის მზომავნი ადლით,
არა მეფენი —
რომ ახშობენ თავისუფლებას,
მე და შენა ვართ,
ჩემო შვილო, ამ ქვეყნის მადლი
და რომ მას ვფლობდეთ —
სწორედ ჩვენ გვაქვს ამის უფლება.
არ შეუშინდე,
დაბრკოლება წინ შეგხვდეს თუნდაც,
გზა გაიკაფე ქარიშხლებით აღსავსე დროში.
შენ
ბასტილიის ნანგრევებზე იცეკვო უნდა
და პირველ მაისს შეეგებო
წითელი დროშით.

## რა შორს განივრცო...

რა შორს განივრცო
თვალწარმტაცი შუქი აისის —
გადაანათა დედამიწა
გულმკერდგაშლილი!
გესმის?
ქარისგან მოტანილი სიმღერა ისმის,
სიმღერა დიდი საბჭოეთის
ხალხთა კავშირის.
ლაღად ისუნთქე,
გამოფხიზლდი,
ნუ გიპყრობს დაღლა!
ვაი მას, ახლა ეს სიმღერა
არ ესმის ვისაც,
ამ სიმღერასთან შეთანხმებით
ტრიალებს ახლა
ისარი ყველა საათისა
და დედამიწაც.
კომპასის ისარს
აულია ახალი გეზი.
ღამე სულსა ლევს —
ვეღარ უძლებს ცისკრის იერიშს.
გამოღვიძების, ჩემო ხალხო,
იმღერე ლექსი,
გახდი მოსკოვის,
საბჭოეთის
შენ მადლიერი!

თარგმანი გერმანულიდან

**ვახტანგ ბეწუკელისა**

* კუბა (კურტ ბარტელი) დემოკრატიული გერმანიის ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტია, რომელსაც ცნობილი ნაწარმოებისათვის — „პოემა ადამიანზე" მიენიჭა ნაციონალური პრემია. კუბას კალამს ეკუთვნის „კანტანტა სტალინზე" და მრავალი ლექსი, რომლითაც პოეტი უმღერის, დემოკრატიული გერმანიის ახალ თავისუფალ ცხოვრებას, მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, საბჭოთა კავშირისა და გერმანელი ხალხების მეგობრობას.

შავი ზღვა →
ფერადი ფოტო ლ. რასკინისა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ქანდაკება

**ა. ადამია** — მოთხრობა — მხატვარი შ. ცხადაძე

— ვითომ ამ დროს შინ არ უნდა იყოს ქალიშვილი? რატომ არაფერს ამბობ? რატომ არ დაურეკავ?

თითქოს ალერსიანად შეეკითხა ზურაბი მეუღლეს, მაგრამ მის ხმაში გაბრაზებაც იგრძნობოდა და საყვედურიც.

მარიამმა თვალი მოარიდა მაგიდაზე გადაშლილ მოსწავლის რვეულს, სათვალე ფრთხილად მოიხსნა და კედელზე დაკიდებულ საათს მიაცქერდა.

— მართლაც დიდი დრო გასულა! დარეკვა? არა, დარეკვა არ შემიძლია! ვიცი საქალაქო კომიტეტშია. თათბირობენ.

— მერედა,—ხმა აიმაღლა ზურაბმა,—საქალაქო კომიტეტი ღამის სატეხია? სოფელში სიმინდის რჩევის დროს ტეხენ ღამეებს, მაგრამ არა ასე მიწყობილად... ვიცნობთ, ქალბატონო მარიამ ჩვენი საქალაქო კომიტეტის მუშაობას! ამ თათბირებს აჯობებდა წყალსადენის გაცვეთილი მილები გამოეცვალათ და ეს ჩვენი ქუჩა მოეკირწყლათ ამ ზაფხულში, თორემ წელსაც...

... ჩვეულებრივი ამბავი იწყებოდა: ჩანდა, ზურაბს უკვე დაემთავრებია შინ წამოღებული სამუშაო და ახლა, ვიდრე ერთპირ მოხსენებას არ წაიკითხავდა, არ მოისვენებდა.

დაღლილი მარიამი შეეცადა დუმილით ეხსნა თავი, მტკიცედ გადაწყვიტა, არ გამოკამათებოდა მეუღლეს, ისევ მოირგო სათვალე, საწერ-კალამს წაავლო ხელი...

ზურაბს ყურადღება არ მიუქცევია ამ გარემოებისათვის, საანგარიშოს თვლები ხელის ერთი წაკვრით ერთ მხარეზე გაჰყარა, მაგიდაზე მიმოფანტული ქაღალდები კოხტად და სათითაოდ ჩააწყო მაგიდის უჯრაში, დღევანდელი მუშაობით ფრიად კმაყოფილი აღიღინდა და მეორე ოთახში გავიდა.

საშიშროება გავლილად მიიჩნია მარიამმა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ახლა მეორე ოთახიდან გამოესიტყვა ზურაბი:

— როგორ ფიქრობ, სულო, ვითომ მაგარ-მაგარ საკითხებს წყვეტენ ქალაქკომში? ამ შუაღამისას ანდა ჩვენს ქალიშვილს რა ესაქმებოდა ქალაქკომში? მერედა ისიც რომელ განყოფილებაში!... საწარმოო-სატრანსპორტო! რა ურთიერთობა აქვს ამ განყოფილებას ქანდაკებასთან და ჩუქურთმასთან? ჩვენი ასანთის ფაბრიკა ისეთ ასანთს გვიმზადებს, რომ იქით უნდა წაუკიდო ცეცხლი... დღემდე ეს საქმე ვერ მოუგვარებია ქალაქკომის საწარმოო-სატრანსპორტო განყოფილებას და იმაზე იმტვრევს თავს, თუ კულტურის პარკს როგორ მოაჯირს შემოავლებენ, როგორ მოიხატება სადარბაზო კარები, ან როგორ ქანდაკებებს დადგამენ პარკში?! აი დედასა, — სადაა ნამდვილი პატრონი!.. — და ზურაბი ქაქანით წაადგა მეუღლეს თავზე და ვითომ თანაგრძნობის ნიშნად რვეულს ჩააცქერდა.

— ჩანს თქვენგან არაფერი შეუთვისებიათ თქვენს მოსწავლეებს, თორემ რვეულის ერთ გვერდზე ამდენი შეცდომა?—გაიკვირვა ზურაბმა და მერე რიხით განაგრძო:

— მოფერებითა და დარიგებით გინდათ ჭკუაზე მოიყვანოთ ჭინკა ბიჭები? მე ვიცი მაგათ რაც ეკადრებათ, მაგრამ სადაა ნამდვილი პატრონი? აი დედასა... ერთი მიმიშვით და გაჩვენებთ, თუ როგორ უნდა ბავშვების აღზრდა...

ახლა კი თავი ვერ შეიკავა მარიამმა, ხელი შეუშვა საწერ-კალამს და წარბებშეყრილმა მწყრალად ამოხედა.

— განა აქ ორჯერ ორთან გვაქვს საქმე?

— ორჯერ ორიო? როგორ ბრძანეთ, ქალბატონო? ორჯერ ორიო? ეს ზუსტი მეცნიერება გახლავთ, სულო, დედამიწა ამ მეცნიერებაზეა დამყარებული... ჰი, ჰი, ორჯერ ორი! არა, აბა ისაა მთავარი, თუ ზღაპრის შინაარსს როგორ შეასწავლით მოსწავლეს, ანდა განუმარტავთ — რატომ მოაკვლევინა თავი ნაწარმოების გმირს მწერალმა, ან რატომ შეაყვარა თავზეხელაღებულ ახალგაზრდას ხანშიშესული ლამაზი ქალი... მე ვიცი რატომ! სწორედ იმის გამო, რომ არ იცოდა ორჯერ ორი! დიახ, ორჯერ ორი არ იცოდა... დიახაც რომ უმთავრესია ორჯერ ორის ცოდნა! აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე თუნდაც ჩვენი პატარა სახელოსნო, რა ქაოსი დამკვიდრდებოდა ამ პატარა სახელოსნოში, რომ იქ მე და ჩემი საანგარიშო არ ვიყოთ!..

ზურაბმა გამარჯვებულის პოზა მიიღო, ნიშნის მოგებით ჩაუკრა თვალი მეუღლეს, მარცხენა ხელი ქეჩოზე მიმოისვა და ისევ წითელი ხაზებით აჭრელებულ რვეულს ჩააცქერდა.

— ეს ყოველივე კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენს ქალიშვილს მთვარისა რომ ჰქვია, ამის გამო სახლში მხოლოდ ღამით უნდა შემოანათოს? არა, ვერ გამიგია რა სარგებლობა მოაქვს ამდენ სხდომებსა და თათბირებს, ანდა მაინცდამაინც ღამღამობით რატომ თათბირობენ, როცა ღამე დასაბამიდან დასვენებისა და ძილისათვისაა განკუთვნილი!..

ზურაბი თანდათან შედიოდა როლში. ხან რბილად, ტენორით გამოთქვამდა სიტყვებს, ხან კიდევ იბოხებდა ხმას— თითქოს გზა-გზა ახსენდებოდა, რომ მართალი იყო და მისი ღრმა რწმენით სიმართლე ყოველთვის ხმამაღლა უნდა წარმოთქვას და გაცხადდეს.

მაგრამ მარიამმა მხოლოდ ორიოდე სიტყვა უთხრა და წინააღმდეგობას მოკლებული ზურაბი ცოტა არ იყოს უხერხულად გრძნობდა თავს. საკმარისი იყო ოდნავ საწინააღმდეგო აზრი წამოსცდენოდა მარიამს და მაშინ ახალ-ახალ საბუთებს გადმოშლიდა ზურაბი, ფრთები ესხმოდა, სულმოუთქმელად ქადაგებდა, სახემღიმარი დააბიჯებდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდის და ჭროღა თვალებში რაღაც თავისებური სიხარულის ნათელი ჰქონდა ჩამდგარი. ილხენდა, ზეიმობდა.

და ხშირად, როცა არც მეუღლე და არც ქალიშვილი არ იმყოფებოდა შინ, რადიოს შეჰკამათებია ზურაბი. დიახ, რადიოს, და წარმოიდგინეთ ზოგჯერ გამარჯვებულიც გამოსულა. აი თუნდაც რამდენიმე დღის წინათ, სწორედ პირველ მაისს....

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილე ოჯახის სამივე წევრი დილით ადგა. მარიამმა და მთვარისამ თბილად ჩაიცვეს და თან ქოლგებიც წაიღეს. ამის მიზეზი რადიო იყო, რომელმაც გამოაცხადა, რომ პირველ მაისს ელჭექის ხასიათის წვიმა გადაივლიდა ქალაქზე. ზურაბმა კი თეთრი შარვალ-ხალათი ჩაიცვა, თეთრი ფეხსაცმელი, თეთრი ქუდი დაიხურა და ყურადღება არ მიაქცია მეუღლისა და ქალიშვილის თავშეუკავებელ ხარხარს. და ზურაბმა გაიმარჯვა: პირველ მაისს ქალაქში წვიმის ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა. პირიქით — მზიანი დღე იყო და ცხელოდა...

. . . ახლა კი ჯიუტად სდუმდა მარიამი და რადიოსაც რატომღაც ხმა გაეკმინდა.

საათს შეხედა ზურაბმა, უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი და საძილო ოთახში გავიდა. სწორედ ამ დროს მთვარისამ ფრთხილად დააკაკუნა კარზე და ზურაბმა იფეთქა.

— აა, როგორც იქნა გვაღირსე თავი, მთვარის ასულო, გვიკადრე? კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახლსა ჩვენსა, რამეთუ... და ზურაბი რიხით წავიდა კარისკენ, ხოლო როცა ქალიშვილის დაქანცულ სახეს შეავლო თვალი, უცებ შეკრთა და გაბრაზება წუთით სიბრალულად შეეცვალა, მაგრამ მაინც გულმოსული სახე შეანათა და სიტყვაუთქმელად შებრუნდა საძილო ოთახში.

მთვარისა ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა ოთახში. მაგიდასთან მჯდარ დედას თვალი რომ მოჰკრა, გული ეტკინა.

— მოდი, შვილო?—სათნო, ალერსიანი ხმა შემოესმა, და მთვარისა ისევ ფრთხილი, გამოზომილი ნაბიჯით წავიდა დედისკენ და გვერდით დაუჯდა.

მცირე ხანს დედა-შვილი ჩუმად, სიტყვაუთქმელად იყო, ხოლო შემდეგ ნელი, სულ ნელი ჩურჩული გაისმა. მაგრამ დაყურადებულ ზურაბის სმენას როდი გამოჰპარვია ეს ჩურჩული.

— ჯავრობს მამაშენი, შვილო, ყოველ ღამე ასე გვიან რომ მოდიხარ, მეკამათება და მეჩხუბება, ხომ იცი მისი ხასიათი,—ერთ ადგილზე ვერ ჩერდება; არ გაემტყუნება!

ზურაბს მოეწონა მეუღლის მიერ მისი ასეთი დახასიათება და გვერდი შეიბრუნა. ახლა შვილის ხმა შემოესმა.

— ვიცი, დედა, მაგრამ სხვანაირად არ მოხერხდება. ეს ჩემი პირველი შრომაა. ამ უსულო ქვას სული უნდა ჩავუდგა, ავამეტყველო და მამაჩემმაც უნდა მოითმინოს... — ეს კი გარკვევით გაიგონა ზურაბმა, მაგრამ შემდეგ ხმა მიწყდა და დედა-შვილის კამათი დამთავრებულად ჩათვალა. ისევ შეინაცვლა გვერდი და თვალები მილულა, ხოლო ორიოდე წუთის შემდეგ ისევ რომ განმეორდა ჩურჩული, ვერ მოითმინა, წამოდგა და ოთახში შემოიჭრა.

— ახლა სახლში გადმომიტანეთ ქალაქკომი? ბარაქალა თქვენს ქალობას! გავწყვიტოთ ძილის სახსენებელი ჩვენს სახლში და ეს არის.

— შენ, მთვარის ასულო, უსულო საგანს, ქვას უნდა ჩაუდგა სული და მე, ცოცხალ ადამიანს უნდა ამომართვა? აბა მითხარი სად წერია ასეთი ამბავი, სად გაგონილა?

მარიამს და მთვარისას ხმა არ გაუციათ გაანჩხლებული ზურაბისათვის, ზურაბი კი განაგრძობდა:

— უფრო შენი ბრალია, მარიამ, დაიჩემე მოქანდაკე უნდა გამოვიდეს ჩემი ქალიშვილი, აქაოდა ძერწვა უყვარს, სწორედ ქანდაკებისათვისაა მოწოდებული ამის ნიჭიო . . . რატომ დაივიწყეთ, სულო, რომ პატარობისას ყველა ხალისით ეტანება ტალახს . . . დიახ, მეც დიდი სიყვარულით ვზელდი ტალახს და ცხონებულმა მამაჩემმა ამისათვის ბევრჯერ ამიჭრელა ზურგი! თქვენ კი ჩვენი სახლი ტალახის საწყობად გადააქციეთ და აი თქვენი მოქანდაკე ქალიშვილი! თუ საღამოთი შინ არის, ხმა ვერ ამომიღია — აქაოდა ჩუმად იყავი—ქანდაკებაზე ფიქრობს მთვარისა, თუ არა და არ არის სახლში და არ არის! სახელოსნოშია. საქალაქო კომიტეტშია და რა ქვია იმ . . . გამახსენეთ ერთი რა ქვია იმ განყოფილებას!

დედა-შვილს პასუხი არ გაუცია, კარგად იცოდნენ, რომ ზურაბმა განგებ იკითხა.

. . . ჰო, გამახსენდა როგორც იქნა! საწარმოო-სატრანსპორტო! რკინიგზა გაგყავთ? ქარხნებს აშენებთ? რა საქმე აქვს ამ განყოფილებას ქანდაკებასთან? თუ

←სოხუმი. მდ. ბესლეთი
ფერადი ფოტო ლ. რასკინისა

ამ განყოფილების გამგე ირაკლი ვაშალომიძეც, — ეს ორი სიტყვა დამარცვლა ზურაბმა, — მოქანდაკეა?

ვაშალომიძის ხსენებაზე მთვარისას უცებ შემოენთო სიწითლე და თავი ჩაღუნა.

— არ აჯობებდა ამას მუსიკალური სასწავლებელი დაემთავრებია? იმღერებდა და მეც ვიღიღინებდი ეს ორი დღე ამ წუთისოფელში ... ახლა სიმღერა კი არა, ხმა ვერ ამომიღია საკუთარ სახლში ...

მარიამი ადგა.

— მგონი ძილის დროა, დავიძინოთ, სადაცაა გათენდება.

— მე გამიტეხეთ ძილი და ახლა გინდათ დაიძინოთ? კეთილი, წაბრძანდით, დაისვენეთ ... როგორმე გასძლებს ზურაბი ჰუმანიტარული ინტელიგენციის გარეშე. წაბრძანდით, დაისვენეთ.

* * *

მთელი ღამე ძილი არ გაჰკარებია ზურაბს. ცხელოდა. ფანჯარა გააღო, ოთახში შემოჭრილმა სიგრილემ უფრო გამოაფხიზლა. უკმაყოფილო იყო თავისი თავით.

— გადავაჭარბე. ქალიშვილი დღე-ღამეს ასწორებს. ეს მისი პირველი გამოჩენაა ხალხში და ღელავს ... და განა მე არ ვღელავ? მეც ვფიქრობ იმ ქანდაკებაზე, რომელმაც ჩვენი ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკი უნდა შეამკოს ... დიახ ვღელავ, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევს: ვერც მარიამი, ვერც მთვარისა და ვერც ის ირაკლი ვაშალომიძე! არა, ის ყმაწვილი მაინცდამაინც მაშინ რომ მოდის ჩვენს სახლში, როცა მე არა ვარ—ესაა ვაჟკაცობა? ჩემი ერიდება? ეშინია? რომელი გარდანქეშანი მე მნახა... უთუოდ მარიამსაც ეწყინა, წყალში რომ ჩავუყარე ნამოღვაწარი! მაგრამ ჩემზე ფიქრობენ კი... აი დედასა, რა ალალი გული მაქვს, სიტყვა-პასუხი კი როგორღაც არ მწყალობს, ვერ გამომიჩენია ჩემი გულის სიალალე ...

დიდხანს იწრიალა ლოგინში და უკვე დილამ მოატანა. სწრაფად ჩაიცვა. მარიამის ოთახის კარი ოდნავ ღია იყო. ოთახში სინათლე ენთო. შეიხედა. ერთ ტახტზე იწვა დედა-შვილი, ერთ ბალიშზე ედოთ თავი. დედასთან მწოლი მთვარისა პატარად, სულ პატარად ეჩვენა ზურაბს. თმა ჩამოშლოდა მთვარისას სახეზე და მხოლოდ შუბლის ნაწილი, ცხვირი და ტუჩები მოუჩანდა, მარცხენა ხელი დედის მკერდზე დაედო, იფიქრებდით — ბავშვს დაძინების წინ შეშინებია მარტოდ არ დამტოვოს დედამ ლოგინშიო.

ტკბილად ეძინა დედა-შვილს.

ზურაბმა სინათლე ჩააქრო, უხმაუროდ მიხურა კარი და ქუჩაში გავიდა. ცას ახედა, ხარბად შეისუნთქა გრილი ჰაერი.

... სახელოსნოს დარაჯს კართან ეძინა, მაგრამ ზურაბის ფეხის ხმაზე უცებ წამოიჭრა, თვალები მოიფშვნიტა, მხედრულად გამოიჭიმა და საგულდაგულოდ შეათვალიერა უდროოდროოს მოსული სტუმარი.

— ასე მემართება, პატივცემულო ზურაბ,—იმართლა თავი დარაჯმა,—დილით ჩამთვლემს უსათუოდ. რაკი ღამე გაიპარება, ეს ოხერი თვალები საშიშროებას გავლილად ჩათვლიან და თავისთავად დაიხუჭებიან, ისე, რომ არც კი მკითხავენ ...

— შენც დიდი რამე გაბარია ვითომ? დაიძინე და არხეინად იყავი. ქვებს დარაჯობ. ვინ მოიპარავს ამ ქვებს?

— სცდებით, პატივცემულო ზურაბ, აქ განა მარტო ქვებია? ათასნაირი ხელსაწყო, ათასნაირი წამლები, მარმარილო... მერე განა მარტო ქურდობაზეა საქმე? ხომ შეიძლება ვინმე ოხერი შემოიჭრას და ხელი ან ცხვირი მიუნგრიოს ქანდაკებას, მაშინ ხომ დაიღუპა უზარმაზარი შრომა, ოსტატის ნაფიქრი, შემოქმედება... ოო, ცდებით, პატივცემულო ზურაბ, დიდად ცდებით, არ მეგონა მთვარისას მამა ამას თუ იტყოდა!

— ჩემთან კამათს თავი გაანებე, ამხანაგო, ერთი ეს კარი გააღე, ვნახო შენი ოსტატების ნაოსტატარი და შემოქმედება...

დარაჯმა შორს დაიჭირა.

— არ შემიძლია, ამხანაგო ზურაბ. ქაღალდი გაქვთ?

— რისი ქაღალდი?

— აი თქვენი ქალიშვილისა. ან ვაშალომიძის ქაღალდი... როცა სახელოსნოში ხალხი არ მუშაობს, აკრძალული მაქვს ნებართვის გარეშე...

— რას ამბობ, ადამიანო, მამას შვილმა უნდა დართოს ნება? ვინ დააწესა ეს კანონი? გააღე ერთი, თუ კაცი ხარ, წუხელ მთელი ღამე მეჩიჩინებოდა ქალიშვილი — როგორმე მოიცალე და შენი გამოცდილი თვალებით შეათვალიერე ჩემი ნამუშევარიო. რისი ქაღალდი, რა ქაღალდი! ვინ ვაშალომიძე! გააღე, მეც სასწრაფო საქმე მაქვს სამსახურში.

ბოლოს დარაჯი ენდო ზურაბის სიტყვას.

... სახელოსნოში უხვად შემოჭრილიყო მზის სხივი, თვალისმომჭრელად ელვარებდა სვეტად შემართული ეკლარის ქვა, ხოლო მიწაზე დაყრილი ნამსხვრევები ჭავლებივით ციმციმებდნენ და ელავდნენ, ქრებოდნენ და ისევ ციმციმებდნენ. ზურაბმა ორივე ხელი მოიჩრდილა და მის წინ დაუმთავრებელი ქანდაკება გამოისახა; ქალიშვილის ფიგურა უკვე გამოეკვეთა ოსტატს. ამ სახეში ქალაქის სახელმოხვეჭილი მქსოველი გოგონა შეიცნო ზურაბმა და ამ ქვიდან ისე შემოსცქეროდა გაღიმებული სახე, რომ ზურაბს კინაღამ წამოცდა — გამარჯვება, შვილოლენაო. მაგრამ როგორღაც შეიკავა თავი.

მარცხენა მხარზე თითქოს მის მიერვე მოქსოვილი აბრეშუმის ნაჭერი ჰქონდა გადაგდებული და ეს აბრეშუმი თითქოს ირხეოდა კიდეც სიმსუბუქის გამო. და თვითონ მთელი ქანდაკება ისეთი მსუბუქი იყო—იფიქრებდით, სადაცაა ხელს გამოგიწვდით და გამოგესაუბრებათო.

ქანდაკების მეორე ნაწილი დაუმთავრებელი იყო. ჯერ მხოლოდ ნახევარი



შუბლი, მარცხენა მხარ-მკლავი და მარცხენა თვალი გამოექანდაკებია მთვარისას...

რამდენჯერმე შემოუარა ირგვლივ ქანდაკებას ზურაბმა. მზეს გახედა, დარაჯს მადლობა მოახსენა და წასვლა დააპირა.

— გუშინ შეუსვენებლად მუშაობდა შენი ქალიშვილი, ძალზე დაიქანცა, ვაჟკაცის ეს ხელი სწორედ გუშინ გამოთალა. ჩქარობს — პარკის გახსნა ამ ქანდაკებას ელოდებაო. მერე იყო და, გვიან ღამემდე უტრიალებდა, ასწორებდა და ასწორებდა.

— მარტო იყო?

— არა, ირაკლი ვაშალომიძეც აქ იყო. ღამის ორ საათზე ქალაქკომის მდივანი მოვიდა. გაუჯავრდა — ასე თავაწყვეტით მუშაობა არ შეიძლებაო, და მიბრძანა სახელოსნო დამეკეტა.

— მერე?

— მერე ავიღე, და მეც დავკეტე. შენი ქალიშვილი კი შემებრალა, მაგრამ როგორ ფიქრობ, ქალაქკომის მდივანს ვაწყენიებდი?

გაბრუებული გამოვიდა სახელოსნოდან ზურაბი. უჩვეულოდ მიაბიჯებდა. ვერ გამოეზომა ნაბიჯი: ხან ნელა წარსდგამდა, ხან კიდევ სწრაფად, და თითქოს ვიღაცას ესაუბრებოდა. ბუბუნებდა.

როცა სახლს მიუახლოვდა, უჩვეულო ხმაურმა გამოარკვია. ქუჩას ხალხი შესეოდა. ოღრო-ჩოღრო ქვაფენილს ჰყრიდნენ ოსტატები, მანქანებიდან წყალსადენის მილებს ცლიდნენ.

ქუჩის შუაგულში ქალაქკომის მდივანი იდგა და ქალაქის მთავარ ინჟინერს ებაასებოდა.

* * *

გუშინ ღირსსახსოვარი დღე იყო ქალაქში. ზეიმით გაიხსნა კულტურისა და დასვენების პარკი. ფიზკულტურელი გოგონები და ჭაბუკები დილაადრიან მოაწყდნენ პარკის მთავარ შესასვლელს. ერთმანეთში ირეოდნენ ფეხბურთელები და ფრენბურთელები, მორბენალნი და მცურავნი, აკრობატები და ატლეტები. და ხალხის დენაც ასევე ადრიან დილით დაიწყო.

მზიანი ამინდი იყო, მაგრამ დილით ქარმა იმძლავრა და ისე ტკაცუნობდნენ პარკის მთავარი შესასვლელის სვეტებზე აღმართული ფერად-ფერადი დროშები, თითქოს ლამობდნენ ქარს დაეწიონო, მაგრამ როგორც კი მზე შემაღლდა, ქარმაც თანდათან იკლო და ახლა დროშები მსუბუქად, ტალღა-ტალღად ირხეოდნენ, ტარს ეალერსებოდნენ.

მარიამი და ზურაბიც ადრე მოვიდნენ. ზურაბი დღეს საგანგებოდ იყო მორთული. წვერ-ულვაში სუფთად გაეპარსა, ხოლო გრუზა ჭაღარა თმა განსაკუთრებული სიკოხტავით გადაევარცხნა, ხნოვანებასთან შედარებით საოცრად ახალგაზრდა ჩანდა.

თორმეტ საათზე გაიხსნა პარკი და ხალხი მდინარესავით შევიდა კულტურისა და დასვენების პარკში.

პატარა ტრიბუნა იქ დაედგათ, სადაც მთვარისას მიერ შესრულებული ქალ-ვაჟის ქანდაკება იყო აღმართული.

და ტრიბუნაზე მთვარისას მოჰკრა თვალი ზურაბმა. მთვარისას გვერდით ქალაქკომის მდივანი იდგა... არც შორიახლოს მყოფი ვაშალომიძე დარჩენია შეუმჩნეველი ზურაბს და საოცარი ის იყო, რომ ვაშალომიძე თითქოს მარტო ზურაბს უცქეროდა, სულ მისკენ ჰქონდა მოპყრობილი თვალი, ქალიშვილი კი თვალს არიდებდა და სიწითლემოკიდებული სახე ჩაექინდრა.

ამაყად გადმოჰყურებდა ხალხს ქალ-ვაჟის ქანდაკება. ცხოველმყოფელობა, სიხარული, სწრაფვა და გამბედაობა აღბეჭდილიყო ქალ-ვაჟის სახეზე... დიახ, ნამდვილად ასეთია ჩვენი ქალ-ვაჟი! და ზურაბმა კარგად იცის, რომ ამ ქალიშვილის ქანდაკებაში სახელმოხვეჭილი მქსოველი გოგონაა გამოსახული, ხოლო ეს ვაჟი? ამ ვაჟსაც იცნობს ზურაბი. იგი ახლა ტრიბუნაზე დგას და ზურაბს უსწორებს თვალს.

სახელდახელო მიტინგი დამთავრდა თუ არა, ორკესტრმა იქუხა, გაჩაღდა ცეკვა-თამაში და ჭიდაობა. ხალხი ხალისით ათვალიერებდა პარკის ლამაზ ხეივნებს, ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნებს, სიცილის ოთახს, საცურაო აუზს, შადრევნებს. ყველაფერი განსაკუთრებული სიყვარულითა და სილამაზით იყო გაკეთებული.

მარიამი და ზურაბი ქალ-ვაჟის ქანდაკებასთან იდგნენ, მათთან შეუმჩნევლად მივიდა მთვარისა და ირაკლი.

— აბა წავიდეთ, დავათვალიეროთ ჩვენი პარკი, — თავაზიანად მიმართა ირაკლიმ.

ზურაბი გამოერკვა და ხელი გაუწოდა ირაკლის. მერე ქალიშვილს შეხედა და გაუღიმა. წავიდეთ...

— მოგწონთ, არა, პატივცემულო ზურაბ, თქვენი ქალიშვილის პირველი პირმშო?

ზურაბმა ისევ გაიღიმა, ხელი დაადო მხარზე ირაკლის, თვალი გაუსწორა.

— მოგვწონს, მართლაც ჩინებულია, ოღონდ ჩვენ, ამხანაგო ირაკლი, ჩვენი ქალიშვილის მოსიარულე პირმშოც ასე მოგვეწონება. განა დრო არ არის, რას იტყვი, მარიამ, განა დრო არ არის?

ირაკლი ვაშალომიძე გაწითლდა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

ქარაფების ბანზე იდექ
ალვანელი ქალი,
საგალობელს გიგალობდა
გაზაფხულის ქარი.
სტუმრებს წარსულ დროებაზე
უყვებოდი ამბავს;
ატმისფერო, ატამივით
გიყვაოდა კაბაც...
წარბის გრილო პირზე გედგა
სათონეებით სავსეს,
თმა თავთუხის ულოებად
დაგეგრაგნა თავზე.
ბახტრიონზე თოვლი იდო,
ფერუცვლელი თოვლი,
ბუჩქნარებზე ბეღურები
თვალს ლულავდნენ ურთოლვით.
ვარდისუბანს ვარდყვავილის
ცისარტყელა ერტყა,
სადაც შენი შუქი ბრუნავს,
თოვლს რა უნდა ნეტავ?!
გნახე... ძველმა ვარდობისთვემ
გაიელვა წამით;
მე ხომ შენი სიყვარულის
მწვავდა ნაპერწკალი!...
ღამე, წვიმა, დიდ ვერხვის ქვეშ
სამჭედური ჩვენი,
შეჯიბრიდან დაბრუნება
საჯირითო ცხენით.
მახსოვს, დოლში გამარჯვებულს
შეგეგებე წინა!
ჩვენთან იყავ, სანამ კარგად
არ გადიღო წვიმამ...
—თეთრონს ნალი ამივარდა, —
დაღვრემილმა მითხარ,
თქმა იყო და ... სამჭედურში
დავტრიალდი ფიცხად.
აბუზუნდა საბერველი,
აბრიალდა ქურა...
ღია კარი ჩარჩოს ჰგავდა,
შენ — შიგ ჩასმულ სურათს.
მალე გრდემლზე მთვარესავით
მოირკალა რკინაც, —
და წვიმაში შემოსწრებულს
ტკბილად გაგიცინა.

ასხლეტილი ნაპერწკლები
შეერივნენ წყვდიადს.
ვერხვთან ცხენი აჭიხვინდა, —
მოუმატა წრიალს...
ზერმა ბიძამ ნალ-ყაირი
წამოკრიფა სწრაფად...
ო, იმ ღამეს მე ვადარებ
ულამაზეს ზღაპარს.
მოვრჩით ნალვას, ვერცხლის უზანგს
ხელი ვტაცე უმალ,
მოგეშველე... უნაგირზე
გადაევლე ქურანს.
ვერხვს ნიავმა დაუქროლა,
წამოვიდა ლეშხი, —
და მაშინვე ელვასავით
შეიჭრი ბნელში.
განა მე კი არა მყავდა
კოჭმაღალი ცხენი,
რომ სახლამდე მიმეყვანე
ჩემი გულის მწველი;
მაგრამ ისე დამაბნია
სიყვარულის ელდამ —
დღესაც დაღად მაჩნევია
მაშინდელი სევდა...
გაიყარა ჩვენი გზები,
სიყმაწვილის გზები;
მე იქ წაველ, სადაც სჭექდნენ
შმაგი ზარბაზნები.
მე იქ წაველ, სადაც სისხლი
თქრიალებდა თქეშად,
სადაც ტანკი ჯავშნიანი
გაიტანდა კლდესაც...
ყველგან შენი მშვიდი სახე
მფარველივით მახლდა, —

და რომ წერილს არა გწერდი,
ახლა ვნანობ, ახლა!
ომში თამამს, სითამამე
რაღა შენთან მაკლდა,
იქნებ მართლა ამხდენოდა
სიჭაბუკის ნატვრა?!..
დღეს ალვანში, სხვებთან ერთად
სტუმარი ვარ შენი,
სიმღერებით აიხდება
შენი სახლის ჭერი.
ვიცი, ვისაც ჩააბარე
ბედის იალქანი,
ალალ იყოს შავლეგოსთვის
შენისთანა ქალი!
ალალ იყოს! განა მტრულად
გავუწოდებ ხელსა,
განა მე მის სადღეგრძელოს
სხვაზე ნაკლებ შევსვამ!
ყური უგდე, ლაჟვარდებში
გუგუნი, რომ ისმის,
ირაოზე გადასულა
თვითმფრინავი მისი;
ალბათ შენი სიყვარულით
ვარსკვლავეთშიც ავა,
უშიშარი შევარდენი
გვასახელებს კვლავაც!..
ქარაფების ბანზე იდექ
ალვანელი ქალი,
საგალობელს გიგალობდა
გაზაფხულის ქარი.
გნახე ... ძველმა ვარდობისთვემ
გაიელვა წამით;
მე ხომ შენი სილამაზის
მწვავდა ნაპერწკალი!..

## ჩქაროსანი ხარატი

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდა ჩქაროსანი ხარატი ივანე ბარაბაში საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით სტახანოვურ ვახტზე დგას და დღიურ საწარმოო დავალებას 280-300%-ით ასრულებს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



# მცურავი ქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედ. მარიამიძე

ფოტო ო. თურქიასი

ყველასათვის ცნობილია, თუ რამდენად საყვარელი და ახლობელია ადამიანისათვის საგანი, რომელიც მას დახმარებას უწევს შრომისა და ცხოვრების შემსუბუქებაში. ასეთი საგანი მით უფრო საყვარელია, თუ მასში „სიცოცხლის“ პატარა ნიშანი მაინც არის, თუ ეს საგანი „მოძრაობს“, „დადის“, „ფრინავს“, ან „ცურავს“. როგორ ეძნელება ხოლმე მუშას იმ დაზგასთან განშორება, რომელზეც თავიდანვე მუშაობდა, რომელზეც მაღალ შრომით წარმატებას მიაღწია და ამით დიდი სარგებლობა მოუტანა სახელმწიფოს და ხალხს. ასევე უყვარს მემანქანეს თავისი ორთქლმავალი, ინჟინერს—თავისი ხორცშესხმული გამოგონება, კომბაინერს—კომბაინი, მფრინავს — თვითმფრინავი და სხვ. მაგრამ მეზღვაურის სიყვარული თავისი გემისადმი ყველას ჭარბობს. გავიხსენოთ ბავშვობაში წაკითხული და გაგონილი ამბები საზღვაო ცხოვრებიდან. დუნკანი ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძულიდან“, ჩარლზ დარვინის მოგზაურობა გემ „ბიგლით“, „ჩელუსკინელების“ გმირული ეპოპეა და ბოლოს კრეისერი „ავრორა“ — ოქტომბრის რევოლუციის ეს ცოცხალი გმირი.

სხვა ჯურის გემების ამბებიც გაგვიგონია, ბევრი წაგვიკითხავს მეკობრეების შესახებ, საზღვაო ბრძოლების შესახებ, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დაპყრობის და დამონების შესახებ. ასეთი მეკობრეები ახლაც არიან უცხოეთის ზღვებში, ასეთ დაპყრობით ომს ახლაც აწარმოებს ამერიკის კაპიტალიზმი კორეის მიწა-წყალზე. ჩვენთან კი, ჩვენი დიადი სამშობლოს ზღვებში ქვეყნის მშვიდობიან ცხოვრებას ემსახურებიან გემები. კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი ახალი და ახალი ზღვებით ასაჩუქრებს ჩვენს გემებს, თბომავლებს, კატერებს, დიზელ-ელექტრომავლებს და სხვ.

შავ ზღვაზე—ბათუმიდან ოდესამდე რამდენიმე სამგზავრო გემი დაცურავს. მათ შორის თავიანთი სილამაზით და სიდიდით გამოირჩევიან „როსია“ და „გრუზია“.

ბათუმიდან „გრუზიით“ გავემგზავრეთ. როგორც კი თბომავალი აიძრა, იმ წუთშივე ალაპარაკდა ბაქნის რადიო-რეპროდუქტორი. მგზავრები თავიანთი კაიუტების ძებნაში იყვნენ გართულნი, ზოგს შემნახველ საკანში მიჰქონდა ნივთები, ზოგიერ-



საღამო თბომავალ „გრუზიას“ გემბანზე

თები კი იმდენად დატყვევებულიყვნენ გემის სილამაზით და მოწყობილობით, რომ ნივთების შენახვა დავიწყებოდათ და ჩემოდნებით დატვირთულნი „დასეირნობდნენ“ ბაქნიდან ბაქანზე. მაგრამ ყოველ მათგანს ესმოდა რადიო-რეპროდუქტორის ხმა. დიქტორი მოუწოდებდა მგზავრებს, რომ არ დაენაგვიანებინათ გემი, უყურადღებოდ არ დაეგდოთ პაპიროსის ნამწვავი, „თბომავალი წარმოადგენს მთელი საბჭოთა ხალხის საკუთრებას“ — ასკვნიდა ბოლოს დიქტორი.

ჩვენ უკვე საკმაო მანძილზე ვიყავით გაცილებული ბათუმის ნავსადგურს, მთელი სისწრაფით მიდიოდა „გრუზია“, მაგრამ როგორც დედამიწის მოძრაობას ვერ ვგრძნობთ, ისევე ვერ ვგრძნობდით გემის მოძრაობას. აღმოსავლეთით ბუნდოვნად მოჩანდა შავი ზღვის სანაპიროები, თუმცა, როდესაც ფოთს გავცილდით, მიწა „დაგვეკარგა“, ოთხივე მხარეზე ზღვის უსაზღვრო სივრცე მოჩანდა მხოლოდ — ამაში მაშინ დავრწმუნდით, როდესაც გარშემო შემოვუარეთ ბაქანს, თორემ გემის ერთი წერტილიდან შეუძლებელია ზღვის ოთხივე მხარისკენ გახედვა, „გრუზიას“ სიდიდე თითქოს უფრო ადიდებს ზღვის უსაზღვროებას.

დავიწყეთ გემის დათვალიერება. ძალზე გაგვიკვირდა, როდესაც თბომავალ „გრუზიაზე“ აღმოვაჩინეთ ფოსტა-ტელეგრაფის ჩვეულებრივი განყოფილება, ისეთივე, როგორიც ქალაქშია. მაშინვე გამოვიყენეთ ეს ამბავი და მე და ჩვენი ჟურნალის ფოტო-კორესპონდენტმა დეპეშები გავუგზავნეთ ნათესავებს, თუმცა ბათუმიდან ახალი გაგზავნილი გვქონდა ასეთივე დეპეშები.

— ჩვენს გემზე პოლიკლინიკაც არის, ავად გახდომას ხომ არ ინებებთ? — ღიმილით გვითხრა ფოსტის მუშაკმა, როდესაც ჩვენი ორმაგი დეპეშების ამბავი გაიგო. „გრუზიაზე“ მართლაც მშვენიერი, კარგად მოწყობილი პოლიკლინიკაა, ავადმყოფთა საწოლები აკვნებს მოგაგონებთ. ღელვის დროს ისინი ირწევიან და პაციენტები სრულიად ვერ გრძნობენ ღელვას. როდესაც ჩვენ მივედით, საწოლები ცარიელები იყვნენ. ვის სცალია გემზე ავადმყოფობისათვის!

ჩვენ მოვინახულეთ ბიბლიოთეკა, ჟურნალ-გაზეთების კიოსკი, მაღაზია, რესტორანი, კინოდარბაზი, ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს პატარა, კოხტა ქალაქის ქუჩებში დავდივართ.

„გრუზიაზე“ ორი საცურაო აუზია; ინათლებს თუ არა, საბანაო კოსტუმებს გადაიცვამენ მგზავრები და რიგ-რიგობით ბანაობენ; ჯერ ბავშვები, მერე ქალები, ბოლოს მამაკაცები. ოდესამდე გაშავებაც შეიძლება; ზაფხულის ცხოველი მზე თან მიჰყვება გემს.

ისვენებენ არდადეგებზე მყოფი სტუდენტები და მოწაფეები, კაიუტების ილუმინატორებიდან იყურებიან შვებულებაში წამოსული მეშახტეები, ფოლადისმდნობელები, ისვენებენ, ასე ვთქვათ, შეუჩერებლად, მათთვის „გრუზია“ სანატორიული ტიპის დასასვენებელი სახლია.

„გრუზია“ სუხუმს მიუახლოვდა. გემის კაპიტანს ელიზბარ გოგიტიძეს ნავსადგურში ოსტატურად შეჰყავს გემი. ჩამოდიან მგზავრები. აი, ოდესის მე-70 ქალთა სკოლის მოსწავლე ლუდმილა იუდინა, იგი ოდესამდე მიდის, მაგრამ გემის აძვრამდე უნდა, რომ სუხუმში გაისეირნოს, აი, ჩერნოვა ვალენტინა ტალინის თეატრალური სტუდიის მეხუთე კურსის სტუდენტი, აი, პოლკოვნიკი მ. კიასბეკოვი, მას საკუთარი მანქანა, „პობედა“ ჩამოაქვს გემიდან და სუხუმში დასეირნობს.

ლამაზი ქალაქია სუხუმი. სუფთა, კრიალა ქუჩებით და მწვანე ნარგავებით. ვერ დაასკვნი ბაღია გაშენებული ქალაქში, თუ ქალაქი — ბაღში. ისეთივე სისუფთავეა ქუჩებში, როგორც თბომავალ „გრუზიაზე“ — აქაც გეუხერხულება პაპიროსის ნამწვი, ან ქაღალდის ნაგლეჯი დააგდო ქუჩაში. ადიხარ სუხუმის მთაზე და გეჩვენება, თითქოს გაჩერებული გემი იყოს სუხუმი, რომელსაც მცურავი ქალაქი „გრუზია“ მოადგა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

„გრუზია“ მთელი სისწრაფით მიარღვევს ტალღებს.



როგორც კი „გრუზია“ ბათუმს გასცილდება, მძლავრი წყალსაქაჩავების საშუალებით ზღვის წყალის მცირეოდენი ნაწილი ზღვის დონეზე მაღლა ამოდის და თბომავალის საცურაო აუზს ავსებს.

# თურქეთში

## ოთარ გიგინეიშვილი

საითკენ მივდივართ? ეს კითხვა ამჟამად ხშირად ისმის თურქეთში. ეს კითხვა შემოგცქერით თურქეთის გაზეთების ფურცლებიდან, ამ ფრაზას ხშირად იმეორებენ თურქეთის პოლიტიკურ პარტიების კონფერენციებსა და ყრილობებზე და, ბოლოს, ამ კითხვას სულ უფრო და უფრო ხშირად უსვამს თურქი ხალხი თავის მმართველებს.

თურქებს აქვთ ყველა საფუძველი იმისათვის, რომ შეშფოთდენ, ვინაიდან თურქეთში ამერიკელთა ბატონობის შედეგები მართლაც კატასტროფულია. ამ მხრით დამახასიათებელია თურქეთის 1952 წლის ბიუჯეტი, რომელიც ამას წინათ განხილული იქნა მეჯლისში: იმ დროს, როდესაც სამხედრო ხარჯებისათვის გათვალისწინებულია ბიუჯეტის 60%-ზე მეტი, სახალხო განათლებაზე განზრახულია დაიხარჯოს 15%, ჯანმრთელობის დაცვაზე—4%, ხოლო სოფლის მეურნეობაზე—3,5%.

ბიუჯეტის განხილვის დროს კამათში გამოსულ დეპუტატთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც თავისდა უნებურად ნაწილობრივ მაინც ფარდა ახადეს თურქეთში არსებულ ნამდვილ მდგომარეობას. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით ბევრი სალაპარაკო ჰქონდათ ყარსიდან და ჭოროხიდან ჩამოსულ დეპუტატებს ესათ ოქთაის და ალი რიზა ხალდარს, იმდენად, რამდენადაც თურქეთის აღმოსავლეთი ვილაიეთები ქრონიკული შიმშილისა და ეკონომიური ჩამორჩენილობის ყველაზე დიდ, ყველაზე გაპარტახებულ რაიონებს წარმოადგენენ. ესათ ოქთაიმ, რომელიც შეეხო ბიუჯეტით ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებულ თანხებს, მოიყვანა თანამედროვე მარშალიზირებულ თურქეთისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ფაქტი და ციფრი. შიმშილი და უკულტურობა მეფობს თურქეთის სოფლებსა და ქალაქებში, სამედიცინო დაწესებულებათა საარაკო სიმცირე, მთავრობის სრული უყურადღებობა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი იწვევს სიკვდილიანობის კატასტროფულ ზრდას. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქნა ლაზისტანში, რომლის მოსახლეობის ფიზიკურ განადგურებასაც ცდილობს თურქეთის მთავრობა. წელიწადში ლაზისტანში მცხოვრებ ყოველ 10.000 კაციდან—400 ჭლექით კვდება. სწრაფად იზრდება ტრაქომით, ციებით დაავადებულთა და სულით ავადმყოფთა რიცხვი. ესათ ოქთაის სიტყვით, ამჟამად თურქეთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში საწოლების რაოდენობა უდრის 2964-ს იმ დროს, როდესაც მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა კიდევ, სულ ცოტა, 12.000 საწოლი. დიდია ბავშვთა სიკვდილიანობაც. ყოველ 1000 ახლად დაბადებულ ბავშვიდან თურქეთში 500 კვდება. მინიმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თურქეთს სჭირდება 20.000 სამედიცინო და, იმ დროს, როდესაც სამედიცინო დაწესებულებებში ამჟამად მხოლოდ 893 სამედიცინო და მუშაობს.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 40 სოფელში წარმოებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ თურქეთში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა უდრის 29,5 წელიწადს. ამ მხრივ თურქეთს აფრიკის რომელიმე გადაშენების გზაზე მდგომი ნახევრად ველური ტომი თუ შეედრება.

თურქეთში სწრაფად ეცემა აგრეთვე მოსახლეობის საარსებო დონეც — იზრდება უმუშევრობა, იზრდება ფასები. გაზეთი „ჰურრიეთი“ (თავისუფლება) აღნიშნავდა: „ამჟამად ფასები უახლოვდება მეორე მსოფლიო ომის დროინდელ დონეს“. თურქეთის პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი ანატოლიაში მიტინგზე გამოსვლის დროს იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ უკანასკნელ ხანებში თურქეთში ფასები საშუალოდ 8% გაიზარდა.

თუ 1948 წლისათვის ხორცის ფასი უდრიდა 180 ყურუშს, ამჟამად იგი 325 ყურუშამდე ავიდა და მოელიან, რომ სულ მოკლე ხანში 400 ყურუშამდე ავა. თუ კილო მწვანე ხახვი 1948 წელს ღირდა 25 ყურუში, ამჟამად ღირს 70-80 ყურუში. ფასები ბოსტნეულსა და ხილზე 1939 წლიდან საშუალოდ გაიზარდა 500-1000%. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ტრაპიზონის, ჭოროხისა და რიზეს ვილაიეთებში. „ჰალქ გაზეთესი“ (სახალხო გაზეთი), რომელიც ტრაპიზონში გამოდის, მიმდინარე წლის ივლისში წერდა: „ცხოვრების გაიაფების მაგივრად, რომელსაც ჩვენ გვპირდებიან, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში კვლავ ზრდიან ფასებს. ივლისში კვლავ მოიმატა ფასებმა პურზე“-ო.

ამჟამად „ოპოზიციაში“ მყოფ თურქეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის კრებაზე კირიკკალეში, ერთ-ერთმა ორატორმა განაცხადა: „ცხოვრების სიძვირე აუტანელი გახდა, ჩვენს სუფრაზე ერთი კილო პური და ერთი კონა მწვანე ხახვი სანატრელი შეიქნა. ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს არა აქვთ საკვები პროდუქტები“.

თურქებმა ჯერ კიდევ 1945 წელს დიდის ზეიმით გამოაცხადეს აგრარული რეფორმა. ამიერიდან თურქი გლეხი მიწას მიიღებსო, წერდა თურქეთის პრესა. მაგრამ გავიდა 7 წელიწადი და თურქეთის მშრომელმა გლეხობამ არა თუ არ მიიღო მიწა, არამედ პირიქით, გრძელდებოდა მიწების კონცენტრაცია მსხვილ მემამულეთა ხელში. მშრომელი გლეხობა კი გამუდმებით კარგავდა თავის მცირე მიწის ნაკვეთებს. ეს თურქეთის სოფლებში იწვევს მწვავე სოციალურ კონფლიქტების სწრაფ ზრდას. მთავრობას ხშირად უხდება ამა თუ იმ სოფლის გლეხობის დასაწყნარებლად საკმაოდ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმების გაგზავნა. გაზეთი „ულუსი“ (ერი) 1952 წლის 8 ივლისის ნომერში იტყობინებოდა, რომ სარაყამიშის მახლობლად სათიბების გამო მოხდა შეტაკება ორი სოფლის მცხოვრებლებს შორის, რის შედეგად მოკლულია 6, ხოლო დაჭრილია 4 კაცი. შეტაკების შემდეგ მოსახლეობის ნაწილმა სარაყამიშის მთებს შეაფარა თავი. იგივე „ულუსის“ ცნობით, ჩორუმის ვილაიეთში 90 გლეხი იქნა დაპატიმრებული იმის გამო, რომ მათ გაჩეხეს სახელმწიფოს კუთვნილი ტყე და მიწა დაამუშავეს. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა მთავრობის შეიარაღებული რაზმი. გლეხებსა და შეიარაღებულ რაზმს შორის შეტაკების შედეგად მოკლული იქნა ერთი კაცი, ხოლო რამდენიმე დაიჭრა. გლეხობასა და ჟანდარმერიას შორის შეტაკება მოხდა აგრეთვე მერსინის მახლობლად.

ამ ამბებით შეშფოთებულ ცნობილ თურქ რეაქციონერს, ჰუსეინ ჯაჰიდ იალჩინს გაზეთ „ულუსში“ მოჰყავს შემდეგი ამონაწერი ანონიმური ავტორის წერილიდან: „მათ, ვინც პასუხს აგებენ ქვეყნის შინაგანი უშიშროებისათვის, უნდა იცოდნენ, რომ გლეხები ერზერუმისპირის რაიონში ამჟამად შეიარაღებულნი არიან ისე, როგორც „სალაშქროდ გამზადებული არმია“, დღეს ჩვენს აღმოსავლეთის რაიონებში ისეთი მდგომარეობაა, რომ ერთმანეთისაგან ვერ გამოარჩევთ გლეხს, რომელიც მიდის თავის ყანის დასამუშავებლად და ყაჩაღს, რომელიც მიდის მთებისკენ ხალხის საძარცვავათ. გლეხს, რომელიც მიდის ფართლის საყიდლათ, ყველას დასანახავად გვერდზე დამბაჩა ჰკიდია“. ანონიმური ავტორის ამ წერილის ციტირების შემდეგ იალჩინი წერს: „ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ არსებობენ პირები, რომლებიც აშკარა ბრძოლას უცხადებენ სახელმწიფო ავტორიტეტს. ასეთ მოძრაობას ჩვენ დასაბამითვე სისტემატურად ვებრძვით, მაგრამ სამწუხაროდ იგი ფართოვდება და ედება ჩვენი ვრცელი სამშობლოს ყოველ კუთხეს“. ბოლოს იგი შეშფოთებით დასძენს: „საქმის ასეთი ვითარება არა მარტო დაამხობს ხელისუფლებას, არამედ მიგვიყვანს სრულ ანარქიამდე“.

ყოველივე ამასთან ერთად იზრდება ბოროტმოქმედებათა რიცხვი. იგივე „ულუსი“ აღნიშნავს, რომ „სხვადასხვა სახის მკვლელობანი, ქალების გატაცება, სეიფების გატეხა განგსტერული წესებით, ავტობუსების გაძარცვა შუა გზაზე და სხვა ამგვარი შემთხვევები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა“.

თურქეთის რეაქცია ცდილობს, რომ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი საგარეო ავანტურაში ჰპოვოს. მას სურს თურქეთის მოსახლეობას თვალი აუხვიოს მითიური წარმატებებით საგარეო-პოლიტიკურ არენაზე. ოსმალეთის იმპერიის წარსული ძლიერება არ აძლევს მოსვენებას თურქეთის მმართველ წრეებს, რომლებიც ამჟამად ისე აჩვენებენ თავს, თითქოს ამერიკის დახმარებით ისინი კვლავ ჩაუდგებიან სათავეში მახლობელ აღმოსავლეთს. „თურ-

თურქ ჯარისკაცებს ამერიკელები კორეაში იყენებენ, როგორც თავსაფარ საშუალებას.

**მკვდარი მკვდარს ეკიდებოდა...**

— ვაჰ, ალლაჰ თე ალლა! მე რა მამაცი მნახა, რომ ჩემს უკან იმალება?

მხატვარი გ. ლომიძე



# დენის დავიდოვი



140 წლის წინათ, 1812 წლის სექტემბერში ბოროდინოს ბრძოლის წინ არმიის სარდალ თავად პეტრე ბაგრატიონთან გამოცხადდა მისი ადიუტანტი, გუსარი - პოდპოლკოვნიკი — დენის დავიდოვი. მან გააცნო ბაგრატიონს თავისი გეგმა მოძრავი პარტიზანული რაზმების შექმნისა, და მღელვარებით ლაპარაკობდა ასეთი რაზმების დიდ საჭიროებასა და სარგებლიანობაზე.

ამრიგად, პარტიზანული ბრძოლის იდეა დაიბადა ბოროდინოს ბრძოლის წინა დღეებში. მისი ავტორი იყო დენის დავიდოვი — მგზნებარე რუსი მგოსანი და მეომარი, რომლის სახელიც, როგორც თვითონაც ამბობდა, „კაზაკის შუბივითაა გაჩრილი ყველა ომში“, რომლის სახელი ჯერ კიდევ მაშინ გასცდა რუსეთის საზღვარს. დიდმა ინგლისელმა რომანისტმა ვალტერ სკოტმა დავიდოვს „1812 წლის ლეგენდარული კაპიტანი“ უწოდა. იგი დავიდოვს თვლიდა კაცად, „რომლის საქმეები სამშობლოს საბედისწერო წუთებში — [illegible]“.

დენის დავიდოვი არა მარტო დიდი რუსი პატრიოტი, არამედ დიდი რუსი მგოსანიცაა. დენის დავიდოვი უმღეროდა [illegible] მხედრულ ცხოვრებას, მამაც რუს ხალხს, რუსული იარაღის ძლიერებას, რუსეთის თავისუფლებას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ დ. დავიდოვის ორ ლექსს, თარგმნილს მურმან ლებანიძის მიერ.

## ბოროდინოს ველი

დადუმებულო გორაკებო, სალამი თქვენდა,
ველო მორწყულო, განბანილო სისხლის ზვირთებით,
დღე დამიბრუნეთ დადაფნული დიდის დიდებით —
ბრძოლის ყიჟინი,
აბჯრის ლეწვა,
ჭიხვინი ცხენთა...
თვისი სახელით, თვისი ხმითა და შეძახილით,
შენ, ვინც პოლკებში ძლევის ყიჟინს სთესავ,
სარდალო,
მიხმე ბრძოლაში — ჰა, მზადაა ჩემი მახვილი,
ბაგრატიონო, ჰომეროსის გმირთა სადარო!
მაჩვენე ბრძოლის ველისაკენ გაწვდილი ხელი,
ჰეი, რაევსკი, გენერალო და ჩემო გმირო!
შენც ერმოლოვო, გამიძეხი, შენი ვარ, შენი—
გამარჯვებათა წილხვედრო და რჩეულო შვილო!
მაგრამ სადა ხართ... არსით ხმა და არსით
ძახილი!
ბრძოლის კვამლივით გაფანტულან, წასულან
წლები...
მივყვები გუთანს სევდიანი და თავდახრილი,
და მეხარბება
თეთრი ბედი
მეგობრის ძვლების.

## პარტიზანი

დასრულდა ბრძოლა. ღამისა ჩრდილი
დაეცა მოსკოვს და მწუხრით მოსავს.
როგორც მარიხი, შორი და ტკბილი,
შორს, კუტუზოვის კარავი მოჩანს.
ღამის ბინდბუნდში ლაშქარი ღელავს,
ბრიალებს ცეცხლი მოსკოვის თავზე...
იწვის დაისი — ცას სისხლით ფერავს,
და სისხლისფერი ქვეყანას ავსებს.
და უცებ, ქვესკნელს ამოჰყვა თითქოს,
გამოხტა რაზმი სისხლიან ველზე.
მოჰქრის მერანი და ლაგამს ითხოვს,
მოჰქრის ვაჟკაცი და მტარვალს ეძებს.
როგორც მგლის ხროვა, მხედრების
გუნდი
სერ-სერ ჩერდება და სისხლი შია...
ყურს მიუგდებენ, დგებიან წუთით,
და მდუმარენი კვლავ ასე ჰქრიან.
ყაბარდოული ფაფახი შვენის,
შავი ნაბადი შვენის მეთაურს;
რაზმს მოუძღვება ცხენით და ფრენით,
მოათამაშებს ლხენით ბედაურს...
ტურფა მოსკოვის შვილია, მაგრამ
ადრე შეჰკვრია ნაოჭით შუბლი —
სწყურია ბრძოლა, სწყურია დაკვრა,
და რაც მოხდება — ნებაა უფლის...
დავიწყებია სიმშვიდე ვაჟკაცს,
დასცილებია მიჯნურს და თვისტომს,
თვისტომს უწოდებს დღეს დონის
ლაშქარს,
მიჯნურს — ომსა და სისხლიან მინდორს.
მეგობრადა ჰყავს ერთგული ცხენი —
ძუაგაშლილი გრიგალი ველთა...
ყურის ცქვეტა და ფრუტუნი შვენის,
და ის მოაფრენს უშიშარ მხედარს.
ერთხანს ჰორიზონტს მდინარე ნარის
გაღმა სერი-სერ მისდევდნენ ჩორთით,
მერე, მხარმარჯვნივ გადასჭრეს კორდი—
ალამპრებული მოსკოვის ალით...
და ცამ ჩაჰყლაპა მერნების კვალი...

თარგმანი მ. ლებანიძისა

ქეთი უნდა გახდეს შუა აღმოსავლეთის ლიდერი“—წერდა ამას წინათ გაზეთი „აქშამი“ (საღამო) და დასტურად მოჰყავდა თურქეთის ოკეანის გადაღმელი რომელიღაც „მეგობრის“ ფრაზა, „რომ თურქეთის ნებაზეა დამოკიდებული მდგომარეობა შუა აღმოსავლეთში“, რომ „თავისი სამხედრო, კულტურული და ეკონომიური მონაცემებით, სწორედ თურქეთი უნდა მეთაურობდეს შუა აღმოსავლეთს“, რომ „არაბულ სამყაროში ურთიერთ ნდობა მხოლოდ თურქეთის ლიდერობის შემთხვევებში აღსდგება“. მაგრამ ის, თუ როგორ უყურებენ თურქეთს მახლობელ აღმოსავლეთში და როგორი სიმპატიებით სარგებლობს იგი, კარგად გამოჩნდა ბეირუთში, როდესაც დემონსტრანტებმა შეერთებულ შტატებისა და თურქეთის საელჩოების წინ შეერთებულ შტატების ეროვნულ დროშასთან ერთად დახიეს თურქეთის ნამგალა მთვარიანი ეროვნული დროშაც. ხოლო ირანის გაზეთმა „შირიშმა“ მოათავსა კარიკატურა, რომელზედაც გამოსახული იყო ვირი თურქეთის ემბლემით, რომელიც ლაგამამოდებული მიჰყავს ინგლისელს.

ამერიკელი „მეგობრის“ კეთილგანწყობილებით აღფრთოვანებული იალჩინი წერდა, რომ თურქეთი უნდა იყოს მახლობელი აღმოსავლეთის მეთაური იმიტომაც, რომ თურქეთი ერთადერთი დემოკრატიული ქვეყანაა მახლობელ აღმოსავლეთშიო. იალჩინის სიტყვით, ეგვიპტეში არ არსებობს დემოკრატია, ვინაიდან იქიდან ინგლისელებს ერეკებიან და არ სურთ მათი დატოვება სუეცის არხის ზონაში.

მაგრამ თუ როგორი „დემოკრატიაა“ იალჩინის თურქეთში, ამას აღიარებენ მმართველ წრეებთან ახლო მდგომი პირებიც. თურქეთის ეროვნული პარტიის ყრილობაზე, ვინმე ფუსთიკა ფენტლიმ განაცხადა, რომ „თურქეთში თამაშობენ ყალბ დემოკრატიას, თურქეთის მმართველები გაჰყვირიან, რომ ისინი ხალხისათვის დემოკრატიის მომხრენი არიან და ამავე დროს, ხალხი დაჩაგრული ჰყავთ“-ო. ხოლო მეორე ორატორმა ოსმან კოლუკბაშიმ განაცხადა: „მე ჩვენს ქვეყანას მუდამ ვადარებ გემს, სადაც პირველი კლასის მგზავრებთან ერთად არიან გემბანზე სიცივისაგან აკანკალებული და ტრიუმებში ცხოველებთან ერთად მოგზაური ადამიანები. დემოკრატია არ შეიქმნება გიუნალთაის [1]) წასვლით და მენდერესის [2]) მოსვლით. ჩვენი ქვეყანა იბრძვის დემოკრატიისათვის. ჩვენ მოვითხოვთ კანონის მქონე სახელმწიფოს და კანონს აგებულს სამართლის პრინციპებზე“.

და ბოლოს თურქეთის „დემოკრატიაზე“ მეტყველებს მშვიდობის მომხრეებით ავსებული თურქეთის საპატიმროები და ციხეების მშენებლობის ახალი, გაფართოებული პროგრამა.

1) გიუნალთაი—თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ისმეთ ინენიუს პრეზიდენტობის დროს.

2) მენდერესი—ამჟამად თურქეთის პრემიერ-მინისტრი.

# ფურცლები მოთამაშის ცხოვრებიდან

ედ. ყიფიანი

## „ჭინჭის“ ბურთი

ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაზე ოთხმა ბიჭუნამ ხმაურით შეალო ეზოს ჭიშკარი და იქვე შეჩერდა. ეზოს ბოლოში, სახლის კედელთან მაღალი, 13-14 წლის ბიჭი დგას, ხელში მაუდის ნაჭრებისაგან შეკერილი ბურთი უჭირავს. ესვრის კედელს, მერე მიირბენს, ისევ წამოიღებს ბურთს, შემობრუნდება, ოდნავ მოიხრება წელში და ხელმეორედ ესვრის. სულ გაოფლილა, შუბლზე ქოჩორი ჩამოშლია, მაგრამ თავს მაინც არ ანებებს ბურთს.

აივანზე ახალგაზრდა ქალი გადმოდგა.

— ოთარ, შვილო, დაღამდა, ამოდი სახლში!

ოთარი შემობრუნდა, მხოლოდ ახლა შეამჩნია ჭიშკართან მდგარი ამხანაგები. „ჭინჭის“ ბურთი ხელში აიღო, დაუმიზნა და მათკენ ისროლა. ბურთი პირდაპირ თავში მოხვდა ერთ-ერთ ამხანაგს. ყველას გაეცინა.

— ნახეთ, რა ბურთი შევკერე,—ამბობს ოთარი,—ესაა, რომ კალათა გამომივიდა პატარა, ნამდვილი ბურთი ვერ გაეტევა.

ამხანაგები ათვალიერებენ ოთარის ნახელავ კალათბურთის ფარს, კედელზე რომ დაუმაგრებია ძლივსძლივობით.

— კარგია—ამბობს ერთი—აბა, გავეჯიბროთ, ვინ უფრო მეტს ჩააგდებს ათი სროლიდან. ისვრიან რიგრიგობით, ერთმა ექვსი ჩააგდო, მეორემ—სამი, მესამემ ვერც ერთი. ახლა ოთარი დგება „საჯარიმო“ ხაზზე. ერთიდან—ერთი, ორიდან—ორი, ხუთიდან—ოთხი, ათიდან—რვა, ითვლიან ამხანაგები. გამარჯვებული დღესაც ოთარი გამოდის. „ჩვენზე მაღალი ხარ და იმიტომ გვჯობნი,“ ეუბნებიან ამხანაგები. „შორიდან სროლის დროს რა შუაშია სიმაღლე—ფიქრობს ოთარი — სიმაღლე ფართან ახლოს თუ გამოგადგება“. ოთარი უეცრად მუხლებზე დგება და ისე ისვრის. ბურთი არც კი ეხება მავთულის წრეს. ბადეშიც „სუფთად“ ძვრება.

— ახლაც მაღალი ვარ?—ნიშნისმოგებით ამბობს ოთარი და მუხლის თავებს იწმენდს...

— ბიჭებო, ხვალ მოდით სპორტულ სკოლაში, კალათბურთის სექცია იწყებს მუშაობას.—ეუბნება ოთარი ამხანაგებს.

მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ ისინი კვლავ შეიკრიბნენ ქუთაისის სპორტული სკოლის დარბაზში. კალათბურთის სექციის ხელმძღვანელი ალეკო მესხი აკვირდება ახალგაზრდების თამაშს, ზოგს სითამამე აკლია, ზოგს სისწრაფე და მოქნილობა. ოთარი ყველასაგან გამოირჩევა: გამხდარია, ფიზიკურად სუსტია, მაგრამ შესანიშნავი მონაცემები აქვს...

იმავე 1937 წელს ოთარი მონაწილეობას იღებს საქართველოს პირველობის გათამაშებაში კალათბურთში. იგი იცავს ქუთაისის „სპორტული სკოლის“ გუნდის ღირსებას.

ასე დაიწყო ოთარ ქორქიას სპორტული ბიოგრაფია.

გადის მცირეოდენი ხანი და ოთარს უკვე ემჩნევა ვარჯიშის შედეგები. იგი ვაჟკაცდება, მას ბრწყინვალე მონაცემები აღმოაჩნდა მძლეოსნობაშიც. ოთარი ეუფლება ბირთვისა და ბადროს ტყორცნას. 1939 წელს საკავშირო რეკორდებსაც ამყარებს ამ სახეებში. მართალია მძლეოსანი თავისი სპორტული საზოგადოების ღირსებას იცავს, მუდამ კოლექტივის სახელით გამოდის, მაგრამ ოთარის აზრით, იგი ასე თუ ისე მაინც ინდივიდია. სულ სხვაა კოლექტიური თამაში, სულ სხვაა, იყო კალათბურთის გუნდის მოთამაშე. ოთარი თავს ანებებს მძლეოსნობას და მთლიანად ეძლევა საყვარელ თამაშს.

## 20 წუთიანი ტაიმის ოსტატი

1947 წელს, ჩეხოსლოვაკიაში პირველად გამოჩნდა საბჭოთა კალათბურთის სიძლიერე. საბჭოთა კავშირის სპორტული კოლექტივი ზედიზედ ამარცხებს ევროპის საუკეთესო გუნდებს. იწყება საბჭოთა კალათბურთელების ტრიუმფალური მსვლელობა მსოფლიო სტადიონებზე: 1948 წელი— ტურნე პოლონეთის ქალაქებში, 1949 წელი — პირველი ადგილი ბუდაპეშტის მსოფლიო



ოთარ ქორქია თავის შვილს ვიტალის ასწავლის კალათბურთის „ანბანს“

ფოტო ბ. ჯეირანოვისა

დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალზე; 1950 წელი—გამგზავრება ჩინეთში; 1951 წელი — პირველი ადგილი საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე და ბერლინის მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალზე. 130-მდე საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა და 130-მდე გამარჯვება მოიპოვა. ამ გამარჯვებებში მთელი თავისი ენერგია, მთელი თავისი ცოდნა და ოსტატობა გამოიჩინა ოთარ ქორქიამ. საზღვარგარეთის დემოკრატიული და ბურჟუაზიული პრესაც კი ქებით იხსენიებდა მის თამაშს. „ისწავლეთ საბჭოთა კალათბურთელებისაგან, განსაკუთრებით თვალყური ადევნეთ ქორქიას თამაშს“—წერდა ერთ-ერთი ფინური გაზეთი.

საფრანგეთის მაყურებლებს დიდხანს ემახსოვრებათ ის შეხვედრა, როდესაც მოედანზე წაქცეულ ფინელ კალათბურთელთან მიირბინა ქორქიამ და „მოწინააღმდეგე“ ფეხზე წამოაყენა. ეს ჩვეულებრივი, სპორტული ზრდილობა ყოველი საბჭოთა მოთამაშისათვის, სენსაციად იქცა ბურჟუაზიულ ქვეყანაში, მთელი რეცენზიები დაიწერა ქორქიას ასეთი მოქმედების გამო.

საფრანგეთის ყოველ ქალაქში გულთბილად ხვდებოდნენ საბჭოთა კალათბურთელებს, თუმცა სტადიონების კერძო მესაკუთრეები ხელოვნურად ადიდებდნენ ბილეთების ფასებს და ცდილობდნენ, რომ საფრანგეთის მშრომელ მოსახლეობას ვერ ენახათ საბჭოთა გუნდის თამაში.

საფრანგეთის ბურჟუაზიული სპორტული წრეები ვერ შერიგებოდნენ ევროპის ჩემპიონის სახელის დაკარგვას. სახელგანთქმულ კალათბურთელს — ფრეზოს წვერი მოუშვია და ასე უთქვამს: მანამდე არ მოვიპარსავ, სანამ ევროპის ჩემპიონობას არ დავიბრუნებთო. 1949 წელს ბუდაპეშტში ფრეზო მწვრთნელად ჩამოჰყვა საფრანგეთის კალათბურთელთა გუნდს. მას უკვე წვერი მკერდამდე სცემდა. ფრეზოს წვერების ზრდა დღემდე გრძელდება, ევროპის პირველობა კი საბჭოთა კალათბურთელების ხელშია. თუ სხვა სპორტული სახეების მოთამაშეებიც ფრეზოს მსგავს ჟინიანობას გამოიჩენენ და მას მიბაძავენ, საფრანგეთში ალბათ ძალზე გახშირდება გრძელწვერიანი სპორტსმენები.

## შეხვედრა ფარქვეშ

ჰელსინკი. XV ოლიმპიური თამაშობანი. მესუხალის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს ფინალური შეხვედრები კალათბურთში. აი, ოთარ ქორქია დაუსხლტა ერთ ფინელ კალათბურთელს ელვისებურად გაიჭრა მოწინააღმდეგის ფართან და ბურთი ბადეში მოაქცია. იმავე წუთს ვიღაცამ ხელზე ხელი მოჰკიდა. ოთარმა მიიხედა და სახე ღიმილით გაუნათდა, მის წინ იდგა სწორედ ის ფინელი კალათბურთელი, რომელიც ჯერ კიდევ საფრანგეთში დარწმუნდა საბჭოთა სპორტსმენების ადამიანურობაში და დიდსულოვნობაში, რომელიც წაიქცა შეჯიბრების დროს და ამ ვეება ახალგაზრდამ, საბჭოთა კალათბურთელების ლიდერმა ფეხზე წამოაყენა. ეს შეხვედრა არასოდეს არ დაავიწყდება ოთარს, ეს, არც ფინელ მოთამაშეს დაავიწყდება.

სულ სხვა ინსტიქტები ამოძრავებდათ ამერიკელ კალათბურთელებს. მათ თამაშში იგრძნობოდა ჯუნგლის კანონების საკმაო ცოდნა: იმოქმედე ყოველნაირად, ოღონდ მოიგე. ამ კანონს ემორჩილებოდნენ ურუგვაელი და არგენტინელი კალათბურთელებიც, როდესაც შეჯიბრის დროს ერთმანეთს დაერივნენ, როდესაც მსაჯი სცემეს. ამ კანონის „კეთილსინდისიერად“ გატარების გამო მიიღო ერთ-ერთმა კანადელმა კალათბურთელმა ზედმეტი სახელი: „ძვალთამტვრევი.“

საბჭოთა კალათბურთელებმა ვერცხლის მედლები ჩამოიტანეს ჰელსინკიდან. ოთარი სამშობლოში დაბრუნდა და ქუთაისში იწვია მშობლებს. ყველაფერს ხარბად ათვალიერებდა, ყველას სიყვარულით ხვდებოდა.

ერთ საღამოს ოთარი სამზარეულოში გასულიყო და პირს იბანდა. უეცრად აბაზანის ქვეშ მან შეამჩნია დაჟანგული მავთულის წრიული რგოლი, იქვე ეგდო „ჭინჭის“ ბურთიც. სახელგანთქმულმა კალათბურთელმა მაშინვე იცნო თავისი ბავშვობის ნახელავი. „დედას შეუნახავს“, გაუელვა ოთარს გონებაში, პირსახოცით აივანზე გამოვიდა, ეზოში გადაიხედა და უნებურად თვალი მიაპყრო იმ ადგილს, სადაც პირველად მოაწყო კალათბურთის „მოედანი“; სახლის კედელზე მოწყობილ კალათბურთის ახალთახალ ფართან 13-14 წლის ბიჭუნები შეგროვილიყვნენ და გატაცებით თამაშობდნენ. ოთარს ერთდროულად მოაგონდა თავისი აღზრდილი ახალგაზრდა კალათბურთელები და ქუთაისის სპორტული სკოლის მწვრთნელი —ალეკო მესხი.



კარიკატურა უნგრული გაზეთიდან



საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი



# ნიკო ქუმსიაშვილი

## (გარდაცვალების 10 წლისთავის გამო)

ვანო სარაჯიშვილის უდროოდ გარდაცვალებამ აუწერელი მწუხარება გამოიწვია. საოპერო სცენაზე მისი შემცვლელი თითქოს არავინ ჩანდა...

და აი ვანოს დაკრძალვიდან ათი დღის შემდეგ, 1924 წლის 26 ნოემბერს ისევ დაიდგა „დაისი".

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

დამთავრდა წარმტაცი უვერტიურა. შრიალით აიწია ფარდა. მაყურებლები ღელავენ: ვინ შეასრულებს მალხაზის პარტიას?!

— „ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ, შენ, მზეო ამომავალო!.." — ხმაშეკიდებით გაისმა კულისებიდან. ზარივით წკრიალა ხმა თითქოს გულის სიღრმიდან მოდიოდა. სიმღერა თანდათან გაძლიერდა, არია დამთავრდა თუ არა, დარბაზში ტაშმა იგრიალა. ნიკო ქუმსიაშვილმა პირველივე გამოსვლით დაიმსახურა ხალხის მოწონება და სიყვარული.

ნიკო ქუმსიაშვილი დაიბადა 1892 წელს ერწოთიანეთის რაიონის სოფელ ზემო-ორხევში. მამამისი მეცხვარე იყო. მას პაწია ნიკო ხშირად დაჰყავდა საძოვრებზე. აქვე შეასწავლა წერა-კითხვა ასპიდის დაფაზე ი. გოგებაშვილის „დედა-ენის" მიხედვით. ნიკომ დაამთავრა ჯერ თიანეთის სამრევლო სკოლა (1905 წ.), ხოლო შემდეგ — წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაც და სწავლა განაგრძო მელვინეობისა და მებაღეობის სასწავლებელში ყირიმში. კურსის დასრულების შემდეგ მან იმოგზაურა საფრანგეთსა, გერმანიასა და იტალიაში, სადაც გაეცნო სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას. 1915 წელს პედაგოგობას ეწეოდა წინამძღვრიანთკარის სკოლაში. 1916 წელს „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ" ნიკო მელვინეობისა და მებაღეობის ინსტრუქტორად დანიშნა, შემდეგ რძის ფერმის ჩამოყალიბება მიანდეს თიანეთის რაიონში.

1919 წელს ნიკო თბილისში საცხოვრებლად გადასახლდა. 1921-23 წლებში იგი მეცხვარეთა კავშირ „მწყემსის" გამგეობის წევრი იყო. 1924 წლამდე, და დროგამოშვებით მას შემდეგაც, გალობას ასწავლიდა თბილისის სკოლებში.

ნიკო ქუმსიაშვილს სიჭაბუკეშივე აღმოაჩნდა მეტად ძლიერი და ლამაზი ტემბრის ხმა. იგი მონაწილეობდა სასკოლო გუნდებში, ხოლო შემდეგ მიხეილ კავსაძის გუნდშიაც მღეროდა. ყველა ურჩევდა ყურადღება მიექცია თავისი იშვიათი ხმისათვის და მეცადინეობა დაეწყო, მაგრამ საზოგადო მოღვაწეობით გართული ნიკო სრულებით არ ფიქრობდა პროფესიონალ მომღერლად გახდომას. მისმა ახლო მეგობარმა, მწერალმა დავით თურდოსპირელმა 1920 წელს იგი ძალად შეიყვანა კონსერვატორიაში ზაქარია ფალიაშვილთან. ფალიაშვილმა მაშინვე მიუწერა ბარათი პროფ. რიადნოვთან, რომელმაც სიამოვნებით ჩარიცხა ნიკო თავის კლასში.

ნ. ქუმსიაშვილის ფართო დიაპაზონის შემცველი ხალასი ხმა თავისუფლად ჟღერდა ყველა ფარდებში. ზედმიწევნით განვითარებული სუნთქვის წყალობით, მჭექარე მაღლებთან ერთად, მას იოლად ეხერხებოდა პიანისიმოც და ხმის ფილირებაც. ეს თვისებები საშუალებას აძლევდნენ მას უშიშრად გამოსულიყო, როგორც წმინდა დრამატიულ, აგრეთვე ლირიკო-დრამატიული ხასიათის პარტიებში. ბგერის ქართული იერიანობა და კილოკავი უფრო მიმზიდველს ხდიდა მას ქართულ ოპერებში. იგი ვ. სარაჯიშვილის შემდეგ მალხაზის პარტიის საუკეთესო შემსრულებელი იყო ჩვენს სცენაზე. ამასთან, დიდი სიყვარულითა და გრძნობით ასრულებდა აბესალომის პარტიასაც.

ნ. ქუმსიაშვილი უზარმაზარი ენერგიის მქონე, მუყაითი ადამიანი იყო. მან ნამღერი აქვს ტენორის მთავარი პარტიები ყველა იმ ოპერებში, რომლებიც მის დროს თბილისის სცენაზე იდგმებოდა. მისი რეპერტუარი მრავალ ოპერას შეიცავდა. იგი მღეროდა „აბესალომ და ეთერში", „დაისში", „ოტელოში", „ჰუგენოტებში", „აიდაში" და სხვ.

1932-33 წლის სეზონში ს. ინაშვილთან ერთად ნ. ქუმსიაშვილი ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მღეროდა. აქ მან ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო პ. ი. ჩაიკოვსკის „პიკის ქალში" ბრწყინვალე გამოსვლით. ბევრჯერ წარმატებით გამოვიდა სხვა მოძმე რესპუბლიკებშიაც.

ნიკო ქუმსიაშვილის საესტრადო რეპერტუარი ამოუწურავი იყო. მას ზედიზედ შეეძლო მიეცა რამდენიმე დამოუკიდებელი კონცერტი ისე, რომ შესრულებული ნაწარმოები არ გაემეორებია.

1937 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის შემდეგ ნიკო ქუმსიაშვილი შრომის წითელი დროშის ორდენით იქნა დაჯილდოებული, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

ნიკო ქუმსიაშვილი გარდაიცვალა 1942 წლის 20 სექტემბერს სოფელ ორხევში, სადაც მან სიკვდილის წინ ითხოვა წაყვანა.

მახლობელ სოფლებიდან ხალხი მოზღვავდა. თბილისიდან ოპერის მსახიობები გაემგზავრნენ. აჟღერდა ნაწყვეტები ოპერა „დაისიდან". ნიკოს სიმღერით გამოეთხოვენ მისი ამხანაგები. ზაქარია ფალიაშვილის დიდებულმა მუსიკამ უკანასკნელად დაიტირა თავისი საამაყო მალხაზი და აბესალომი.

 შ. კაშმაძე

---

# 4016 სიცოცხლის გადამრჩენი

### პ. სახეჩიძე

გასული საუკუნის 70-იან წლების ერთ გაზაფხულზე, საბანაო სეზონის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, გადაწყდა ქ. ბათუმში გადამრჩენი სადგურის მოწყობა. იქ მეზღვაურად მიიღეს გაბედული და მარჯვე მცურავი მემედ ბედია. აქედან დაიწყო მისი ბრძოლა ზღვის სტიქიასთან...

წითელქუდიანი და მოკლეშარვლიანი მზისაგან გაშავებული კუნთმაგარი ახალგაზრდა იჯდა თავის პატარა ნავში, თამბაქოს ეწეოდა და მობანავეებით სავსე ზღვის სანაპიროს გაჰყურებდა. საკმარისი იყო შორეული ყვირილის გაგონება, ხელების ფართხალი, ან წყლის ზედაპირზე ამოტივტივებული ბუშტების დანახვა, რომ ბედია ზღვის ტალღებში შეცურებულიყო, ჩაეყვინთა და გაუფრთხილებელი მობანავე ნაპირზე ამოეყვანა.

1934 წლის ზაფხულზე 82 წლის ბედიამ უკანასკნელი მსხვერპლი გამოსტაცა ზღვის ულმობელ ტალღებს. ეს იყო მოსკოველი სტუდენტი, ოთხი ათას მეთექვსმეტე ადამიანი. ამდენი სიცოცხლე გადაარჩინა მ. ბედიამ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ბათუმის ყავახანების უსაქმურმა სტუმრებმა ახალი გასართობი მოიგონეს — ორასი მანეთი გადადეს იმ მოცურავისათვის, რომელიც მანძილს ბათუმიდან ფოთამდე შეუსვენებლივ გაცურავდა.

გაბედულ მეზღვაურს უნდა გაეცურა 32 საზღვაო მილი, ნავის, საკვების მიღების, ან მოსალოდნელი შემთხვევის დროს ყოველგვარი დახმარების გარეშე. ეს მეტად ძნელი და სახიფათო იყო, მაგრამ მრავალმა



მცურავმა გაითოქვა ჯილდოს აღების სურვილი. მათ შორის იყო მ. ბედიაც.

მიუხედავად იმისა, რომ ზღვა ბობოქრობდა და ციოდა კიდეც, მცურავები მაინც დაიძრნენ, თუმცა ზოგმა ვერ აიტანა ეს სიძნელეები, უმალვე დაყარა ფარ-ხმალი, და უარი განაცხადა ფოთში გადაცურვაზე.

არსად ჩანდა მხოლოდ ბედია• ბნელოდა. ფოთის ყაზარმებთან ჯარისკაცებს კოცონი დაენთოთ. საუბრობდნენ. ერთმა თვალი მოჰკრა ნაპირთან მიახლოებულ მცურავს. გაუკვირდათ. მცურავმა ძლივს გამოაღწია ხმელეთზე და ღონემიხდილი დაეცა. ეს გახლდათ მ. ბედია. მან ჯარისკაცებს რამდენიმე სიტყვით აუხსნა საქმის ვითარება. აღტაცებულმა ჯარისკაცებმა მცურავი ცეცხლთან მიიწვიეს, გაათბეს და აჭამეს.

ღამე შეუმჩნევლად გავიდა. ზღვიდან გამოსულ სტუმარს გაუნძრევლად ეძინა. მეორე დღეს სამხედრო ნაწილის ოფიცრებმა აქტი შეადგინეს, სადაც ზუსტად აღნიშნეს მოცურავის ზღვიდან გამოსვლის ადგილი და დრო. სალდათებმა ერთმანეთში სამ მანეთამდე ვერცხლის ფული შეკრიბეს და კაცი, რომელმაც არც კი იცოდა, რომ მარათონული ცურვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა გაუდგა გზას ბათუმისაკენ.

32 საზღვაო მილი, ანუ 50 კილომეტრი ყოველგვარი დახმარების გარეშე გაცურა ბედიამ. ეს მოხდა უფრო ადრე, ვიდრე ფრანგი მიშელი ლამანშს გადაცურავდა და მარათონული ცურვის საერთაშორისო რეკორდს დაამყარებდა. მაგრამ ბედიას რეკორდის ამბავი ფოთის ყაზარმასა და ბათუმის ყავახანებს არ გასცილებია.

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდად დააფასა მ. ბედიას ღვაწლი და იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. 1941 წლის 14 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, პენსიონერი მ. ბედია კრემლში მიიღო მ. ი. კალინინმა.

მარადმწვანე ბათუმის ქუჩებში კვლავ მხნედ და ჯანსაღად მიაბიჯებს 100 წლის პენსიონერი მ. ბედია. იგი ამაყად გასცქერის ლილისფერ ზღვას და შვილიშვილებს უამბობს ზღვის სტიქიასთან შებრძოლებისა და ადამიანთა გადარჩენის საინტერესო ეპიზოდებს.

# ნარევი

## „გრძნეული ჩხირი“

1819 წელს ერთი იტალიელი გლეხი პიტარელლო მეტისმეტად შეაშინა უჩვეულო ამბავმა: მის ქოხში წინა ღამით, ნესტიან ადგილას შენახული სიმინდის ფქვილის ფაფა „სისხლიანი ლაქებით“ დაფარულიყო. გლეხმა იფიქრა, ამაში უთუოდ „უწმინდური ძალა“ არის ჩარეულიო და სოფლის ხუცესი მოიხმო. მაგრამ ხუცესის ლოცვა-კურთხევის შემდეგ ლაქები არამცთუ გაჰქრა, პირიქით, ახლა სხვა პროდუქტებზეც გაჩნდა. ხმა ამის შესახებ სწრაფად მოედო ახლო-მახლო სოფლებს და უამრავი ხალხი მოდიოდა პიტარელლოსთან ამ „სასწაულის“ სანახავად. ასეთმა მისვლა-მოსვლამ კიდევ უფრო გაავრცელა ეს ლაქები, და ხუცესის სახლშიც კი ამოჰყვეს თავი.

მხოლოდ 1848 წელს, ამდაგვარი „ეპიდემიის“ დროს, შესაძლებელი გახდა დადგენა, რომ „სისხლიანი ლაქების“ წარმომშობი არის მიკროორგანიზმი, რომელსაც ეწოდა „გრძნეული სისხლის ჩხირი“ ანუ მოკლედ „გრძნეული ჩხირი“. ამ მიკროორგანიზმების აღმოჩენა შეიძლება წყალში, ნიადაგში, ჰაერში. თუ ისინი მოხვდებიან შესაფერის პირობებში — საკვებიც ექნებათ და და 25-27° ტემპერატურა — გაყოფას იწყებენ და სისხლის წვეთების მსგავსად დაჯგუფდებიან.

„სისხლის ლაქები“ განსაკუთრებით ხშირად ჩნდებოდა ნესტიან ეკლესიებსა და კაპელებში, ზიარებისთვის განკუთვნილ სეფისკვერებზე. ეს უსაზღვრო შიშს იწვევდა ცრუმორწმუნე ადამიანში. „სისხლის წვეთების“ გაჩენა მიჩნეული იყო, როგორც სასჯელი, „ღვთის რისხვა“ რაღაც ცოდვისათვის.

მაგრამ მეცნიერებამ ახლა დაამტკიცა, რომ „გრძნეული ჩხირი“ მავნებელი კი არა, ფრიად სასარგებლოა.

საბჭოთა მეცნიერების მიერ ამ მიკროორგანიზმის დაწვრილებითი შესწავლამ დაადასტურა, რომ „გრძნეული ჩხირით“ შეიძლება ადამიანისა და ცხოველის მკურნალობა.

„გრძნეული ჩხირი“ გამოიყენება მაგალითად, დიფტერიის ბაცილისმატარებელი ადამიანის სამკურნალოდ. დიფტერიის გამომწვევი ბაცილის სრულ გაქრობას ადამიანის ხახიდან, ჩვეულებრივ, დიდი დრო სჭირდება. დიფტერიამოხდილი ადამიანი დიდხანს არის საშიში, როგორც ამ ავადმყოფობის გადამდები. მაგრამ ახლა საკმარისია ასეთ ადამიანს ცხვირსა და ხახაში ჩაესხას „გრძნეული ჩხირის“ რამდენიმე წვეთი, რომ პირველ ორ კვირაშივე დიფტერიის გამომწვევი ბაცილა მოისპოს.

საბჭოთა მეცნიერები იკვლევენ „გრძნეულ ჩხირს“ ჰუმანური მიზნებისთვის: სნეულებათა განსაკურნავად. სულ სხვა მიზნებისთვის იყენებდნენ „გრძნეულ ჩხირს“ ჰიტლერელები, და ახლა უფრო ფართოდ იყენებენ მას ამერიკელები: მათ ბაქტერიოლოგიური ომის სამსახურში ჩააყენეს ეს მიკროორგანიზმი. ოკუპირებულ პარიზში ჰიტლერელებმა მეტროპოლიტენის სადგურებსა და მოედნებზე მიმოფანტეს „გრძნეული ჩხირი“ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შორს წაიღებდა და გაავრცელებდა მას ჰაერის ხელოვნური დინება. ჰიტლერელებმა და ამერიკელებმა შექმნეს „გრძნეული ჩხირისგან“ საშინელ დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმი.

(ჟურნ. „ნაუკა ი ჟიზნ“, 1952, № 6)

## ხელოვნური მარგალიტი

ბუნებაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით ხუსტ არსებათა თავდაცვის მეტად უცნაურ მაგალითებს. ასე მაგალითად, სუსტი და ნაზი სიპინი იკეთებს საიმედო თავშესაფარს — ნიჟარას, რომელიც ხიფათის მომენტში მყის მაგრად ჩაიკეტება. თუ სილის თუნდაც ერთი ნამცეცი, წყალმცენარის ნაკუწი ან რომელიმე პარაზიტული ორგანიზმი მოხვდება ამ თავშესაფარში, სიპინი გამალებით დაიწყებს სპეციალური შედგენილობის გამოყოფას, რომელიც ფენა-ფენად შემოევლება მის ნიჟარაში შემოჭრილ უცხო საგანს. სწორედ აქედან წარმოიშობა მარგალიტი — დაუპატიჟებელი სტუმრის ძვირფას სამკაულიანი აკლდამა. მარგალიტის წარმოშობა და ზრდა წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის თავდაცვითი რეაქციას.

რაკი ადამიანმა გაიგო, თუ როგორ წარმოიქმნება მარგალიტი, მისთვის უკვე ადვილი გახდა ხელოვნური მარგალიტის შექმნა. ამისათვის საკმარისია ნიჟარაში შევიტანოთ ესა თუ ის გარეშე სხეული. ამავე დროს ჩვენს ხელშია—რანაირიც გვინდა უცნაური ფორმები მივცეთ მარგალიტს.

(ჟურნ. „ტეხნიკა—მოლოდეჟი,“ 1952, № 7)

გარეკანის პირველ გვერდზე: დმანისის რაიონის სოფელ განთიადის სრული საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი კომკავშირელი ა. ლეჟავა (ფოტო კ. კრიმსკისა); მეოთხე გვერდზე: თბილისის ქალთა მე-23 სკოლაში 1 სექტემბერს, სწავლის დაწყების წინ (ფოტო ვლ. გინზბურგისა).
ჩანართის მეორე გვერდზე: საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატი, ორთქლმავალ-ვაგონ შემკეთებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატი ამხ. ი. ჭუმბურიძე (ფოტო ვლ. გინზბურგისა); მესამე გვერდზე: საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატი, კასპის რაიონის სოფ. ქვემო-გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ჩადუნელი (ფოტო რ. აკოფოვისა).

## ჩინური ანდაზები

+ დაიცავი წარსული, მაგრამ შეისწავლე ახალიც.
+ ცოდნა, რომელიც ყოველდღიურად არ მდიდრდება, თანდათან მცირდება.
+ ნაქურდალი ბრინჯისაგან გემრიელ კერძს ვერ დაამზადებ.
+ ერთი თაობა რგავს ხეებს, მეორე ისვენებს მათ ჩრდილში.
+ ვინც ცას ჭიდან უყურებს, ცოტას ხედავს.
+ რაკი დაარტყი გველს, მოჰკალ იგი, თორემ მოგიბრუნდება და გიკბენს.
+ ვინც ორჯერ მოიხედავს უკან, არაფერს წააგებს.
+ უსაყვედურე საკუთარ თავს და არა მზეს, რომ შენი ბაღი არ ჰყვავის.
+ ადამიანები, და არა კედლები, ქმნიან ქალაქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოეთის ჰუმორი

### ბოტიჩელი

ამერიკული კინემატოგრაფიის ცნობილი მსახიობი ტაირონ პოუერი დაქორწინდა. როგორც ეს მიღებულია „სახელოვანთა“ წრეში, პოუერი თავისი ახალგაზრდა ცოლით ევროპაში გაემგზავრა ქორწინების ბედნიერი დღეების ტკბილად გასატარებლად. ვენეციაში მას იტალიელმა კინომოღვაწეებმა ბანკეტი გაუმართეს. ამ ბანკეტზე რომელიღაც იტალიელმა მსახიობმა ქალმა, — იტალიის აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის — ბოტიჩელის დიდმა თაყვანისმცემელმა,—საუბრის დროს ჰკითხა პოუერის მეუღლეს:

— თქვენც ძალიან გიყვართ ბოტიჩელი?

— ბოტიჩელი?.. დიახ... არა, როგორ გითხრათ, მე იქ ჯერ არ ვყოფილვარ... ჩვენ ხომ სულ რაღაც სამი დღეა იტალიაში ვართ... — უპასუხა ქალმა ყოყმანით.

— რას ამბობ, ჩემო ძვირფასო, — საყვედურით ჩაერია საუბარში ქმარი.
— ბოტიჩელი — ხომ ქალაქი ან სოფელი არაა! ეს შესანიშნავი იტალიური კერძია...

იტალიელებს მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ მალულად გაეღიმათ, როცა ამერიკული „კულტურის“ ამ ორ წარმომადგენელს მოუსმინეს. მაგრამ ყოველთვის ასეა ხოლმე: „დიდ ადამიანთა“ გამოთქმები ფართოდ ვრცელდება. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. გავიდა რამდენიმე ხანი და, ეს სასაცილო ამბავი ჩარლი ჩაპლინმა ჰოლივუდელ კინომსახიობებს უამბო.

— მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს გვიამბეთ, — უთხრა ერთმა გამოჩენილმა მსახიობმა. — მართალი გითხრათ, მე აქამდე ბოტიჩელი „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი მეგონა.

—ჰა—ჰა!.. „ღვთაებრივი კომედიისო!“ —გადაიკისკისა არა ნაკლებ „სახელოვანმა“ მსახიობმა ქალმა ეროლ ფლაინმა და თან სიცილის ცრემლებს იწმენდდა.—„ავტორიო“!.. ჰა—ჰა!.. ეს რა სთქვი! გუშინ არ იყო, ჩვენ „ბოტიჩელის“ რომ ვსვამდით!..

(„დოიჩე ვოხე“)

### ყველა ლაპარაკობს...

დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, ამერიკელების ერთ-ერთ შტაბში ტელეფონმა დარეკა. კაპიტანმა ბროუნმა აიღო ყურმილი:

— სპეციალური განყოფილების უფროსი გისმენთ.

ტელეფონში გაისმა ხმა: „იანკი, წაეთრიეთ თქვენს ქვეყანაში!“

— ვინ ლაპარაკობს?! — დაიღრიალა გაცოფებულმა კაპიტანმა.

— ყველა ლაპარაკობს! — იყო პასუხი.

### თანასწორუფლებიანობა

ამერიკის შეერთებული შტატები — თანასწორუფლებიანობის ქვეყანაა. მართალია იქ არის ისეთი დაწესებულებები, სადაც ზანგებს აკრძალული აქვთ შესვლა, მაგრამ არის ისეთებიც, სადაც შესვლა აკრძალული აქვთ თეთრკანიანებსაც, თუ მათ თან ზანგები ახლავთ.

(პოლონური ჟურნ. „შპილკი“)

რედაქტორის მაგიერ—ვ. ჭელიძე

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-52 წ. გამომც. № 207 ნაბეჭდი ფურც. 3½ ტირაჟი—15.000 შეკვ. № 555 უე 05999

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორთაჭალჰესის მშენებლებმა წარჩინებულ მუშაობისთვის ამასწინათ მეხუთედ ზედიზე მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდა მავალი წითელი დროშა.

ფოტოზე: ორთაჭალჰესის მშენებლობაზე.

ფოტო კ. კრიმსკისა

ფასი 3 მან.



ეროვნული ბიბლიოთეკა